გამოდის ორშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

№35 (299)

# ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

2 - 8 სექტემბერი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## „მეცოდებით, პატარა ადამიანებო!“



მე-9 გვ.

## ოკუპირებულ ქვეყანაში პოლიტიკური თოქ-შოუები საჭირო და აქტუალური არ ყოფილა?!

# რატომ?

## „ცხედარი დიდ ჩანთაში ჩაასვენა, თითქოს ბარგი იყო...“

„2 წლის წინ, როცა ქართველი ფიზიკოსი, პოლიტიკოსი ვიქტორ დომუხოვსკი გარდაიცვალა, რამდენიმე საათის განმავლობაში, ვიდრე თანხის ამბავი გაირკვეოდა, სასწრაფოს მანქანაში ესვენა — საავადმყოფო არ იღებდა, რადგან უკვე გარდაცვლილი იყო. მორგში კი, იმიტომ არ „მიიღეს“, რომ არ იცოდნენ, ხარჯებს ვინ დაფარავდა. ასე რომ, დაახლოებით, 7 საათის განმავლობაში, ვიდრე ოჯახმა ჩვენ არ გაგვაგებინა, არ ჩავერიეთ და საელჩომ ხარჯები თავის თავზე არ აიღო, ცხედარი სასწრაფოს მანქანაში ესვენა...“ მე-8 გვ.

რა ჯდება და ევალება თუ არა სახელმწიფოს უცხოეთიდან არალეგალის გადმოსვენება – ინტერვიუ პოლონეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ეკა ლოლაძესთან

## თავდაცვის სამინისტრო ბეჟუაშვილების გავლენის ქვეშაა?!

მე-2-3 გვ.



„სპეცსამსახურები ყველა უწყებაში დასაყრდენს ერთი და ორი დღით ადრე არ ქმნიან. გავლენის აგენტურას წლობით ზრდიან, რომელიც ხანდახან უმაღლეს თანამდებობებსაც იკავებს. როცა მოწინაალმდეგე ქვეყანას მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა უნდა, გავლენის აგენტურის ამოქმედებას სწორედ მაშინ იწყებს“.

## თბილისის საკრებულო ხელოვნებისა და ლიტერატურის გრანდიოზულ კონკურსს მართავს

მე-11 გვ.

## „თუ ოჯახის რჩენა გინდა, ან პოლიტიკოსს უნდა „შეეტენო“, ან ცნობილ ადამიანს „შეეკვეხო“, ან მღვდელი გახდე!“

მე-10-11 გვ.

კარიკატურისტ ბესიკ დუღაშვილის პოლიტიკური გზავნილები

## ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა თაობას განათლების უფლებას ართმევენ!



მე-2 გვ.

## რატომ არ ასახელებს გამოძიება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთებს

ინტერვიუ დაზარალებული ოჯახის ადვოკატთან მე-12 გვ.

№ 35 (299)
2-8 სექტემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# თავდაცვის სამინისტრო ბეჟუაშვილების გავლენის ქვეშაა?!

**ინგა გრიგოლიას გადაცემების დახურვამ ისეთი უმნიშვნელო საკითხი შთანთქა, როგორიც საქართველოში ნატო-ს გენმდივნის ვიზიტი და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საწვრთნელი ბაზის გახსნაა. „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე ამბობს, რომ ყველაფერი ეს კრემლის აგრესიულ გამოწვევებზე დასავლეთის პასუხია. ამასთან, ფორჩხიძე განმარტავს, რომ ხალხში შიშის სინდრომის დათესვა რუსული სპეცსამსახურების ხელწერაა... გარდა ამისა, ქართველი სპეცსამსახურელი, ლოგიკიდან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ თავდაცვის სამინისტრო, კერძოდ გენშტაბი ბეჟუაშვილების გავლენის ქვეშაა...**

**კონსტანტინე ფორჩხიძე, უსაფრთხოების ექსპერტი:** — ნატო-ს გენერალური მდივნის, სტონტელბერგის საქართველოში ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია, რითიც ხაზი ნატო-საქართველოს ურთიერთობაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას გაესვა. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ნატო-ს სასწავლო ცენტრი, პრაქტიკულად, ბაზაა, რომელსაც საქართველოში ნატო-ს შემოსვლა-დაფუძნების პირველ მცდელობად განვიხილავ, რაც თავისთავად, კარგია.

**— მაშასადამე, ვინაიდან ნატო-მ საქართველოში ფეხი მოიკიდა, რუსეთი ჩვენს ოკუპაციას ველარ გაბედავს?**

— ეს სასწავლო ცენტრი ნატო-საქართველოს ერთობლივი საკუთრებაა და, პირველადი დანიშნულების გარდა, საქართველოსთვის გარკვეული უსაფრთხოების ნიშნებსაც ატარებს, ანუ ამ ცენტრის მისამართით ნებისმიერ პროვოკაციულ ქმედებას ნატო მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამს, რასაც მისი მხრიდან შესაბამისი პოლიტიკური თუ სხვა სახის რეაქცია მოჰყვება.

გარდა ამისა, სტონტელბერგი საქართველოში იმ დროს ჩამოვიდა, როცა რუსეთის სამხედრო დოქტრინის ამოქმედებისა და საველე წვრთნების დაწყებით შავი ზღვის რეგიონში ფეთქებადი ვითარება შეიქმნა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ვიზიტი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის დასაბალანსებლად დასავლეთის მხრიდან შემაკავებელი პასუხია.

**— ნატო-ს გენმდივნის რეგიონში ჩამოსვლით რუსეთის აგრესია როგორ უნდა განეიტრალდეს?**

— როგორ და, — თუკი, ვთქვათ, ამ სასწავლო ცენტრზე თავდასხმა განხორციელდება, ეს პირდაპირ ნატო-ზე თავდასხმა იქნება.

**— ეს გასაგებია, მაგრამ ისიც ნატო-ზე თავდასხმად აღიქმება, ოკუპანტებმა შიდა ქართლში ადმინისტრაციული, უფრო სწორად, ოკუპაციის საზღვარი კიდევ რომ გადმოსწიონ?**

— ამას ნატო პირდაპირ ვერ უპასუხებს, რადგან ეს სასწავლო ცენტრია...

**— მსგავსი ცენტრები რომელ ქვეყნებშია?**

— ბევრგანაა. ანალოგიური ცენტრი აქამდე საჩხერეშიც იყო, მაგრამ ასეთი ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურა ამიერკავკასიაში პირველია და რუსეთის გაღიზიანებაც ამიტომ გამოიწვია. რუსეთს კარგად ესმის, რომ რამდენადაც ნატო-ს დავუახლოვდებით, რა თქმა უნდა, აშშ-ს გავლით, ეს მისთვის ცუდი იქნება. ვანო, მითქვამს და ახლაც ვიტყვი: აშშ-ს მოკავშირეობის სტატუსი რუსული აგრესიის ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორია... ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლება როგორ პოზიციას დაიჭერს — საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე ორჭოფობას დაიწყებს თუ არა. ამას ნატო-ც აკვირდება...

**— კი ბატონო, მაგრამ საქართველოში ჩამოსულმა ნატო-ს გენმდივანმა ხაზგასმით განაცხადა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია...**

— დიახ... ფორმულა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება უნდა გაჰყვეს, სამსაფეხურიანია: აშშ-ს მოკავშირეობა; საქართველო — ევროპის ნაწილი და რუსეთი ჩვენი მეზობელია. აი, სწორედ ამ პოლიტიკას არ უნდა გადავუხვიოთ და დასავლეთი სწორედ ამას გვთავაზობს, მაგრამ ხელისუფლება ორჭოფობს და „ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური ძალების ხელმძღვანელები ხანდახან ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ ევროკავშირი და, საერთოდ, დასავლეთი ვერ გარკვეულა, თუ „ქართული ოცნება“ ერთიანი კოალიციაა, ცალკეული ტიპები ანტიდასავლურ განცხადებებს რატომ აკეთებენ.

**— ხელისუფლება რატომ ორჭოფობს?**

— ეს ძალიან რთული საკითხია... „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების დროს, პოლიტიკურ პარტიებში რუსეთს ძალიან ბევრი დასაყრდენი ჰყავდა, რომლებიც თავს პერიოდულად იჩენდნენ და რუსეთისთვის საჭირო განცხადებებს აკეთებდნენ. ასეთივე დასაყრდენი „ქართულ ოცნებაშიც“ არსებობს. მმართველ კოალიციაში არიან ძალები, რომლებიც ევროატლანტიკურ სივრცეს მხარს გამოკვეთილად უჭერენ და ამ არჩევანისგან არასოდეს გადაუხვევენ, მაგრამ ისეთი პოლიტიკური სუბიექტებიც არიან, რომლებიც დასავლეთს უპირისპირდებიან...

**— თოფაძე-ტყემალაძეს გულისხმობთ?**

— არა მარტო... ყველაფერი ეს იკრიბება. ნატო-ს საქართველოში თავისი პოლიტიკური ოფისი აქვს და რა გგონიათ, ეს წარმომადგენლობა სპეცსამსახურელებით არაა სავსე? დიახ, ნატო-ს სრული ინფორმაცია აქვს არა მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრზე, არამედ, იმაზეც, თუ რა ხდება საქართველოს ხელისუფლებაში...

მოკლედ, საქართველოში ნატო-ს გენმდივნის ჩამოსვლა რუსეთისთვის გამოწვევაა. ამასთან, ეს ვიზიტი, ნატო-ს მხრიდან, საქართველოსკენ გადმოდგმული ნაბიჯიცაა, თუ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები მკვეთრი და ურყევი იქნება, ნატო მის გვერდით იდგებაო...

**— წელან, პირადი საუბრისას, კოტე ბატონო, დიდი პოლიტიკის კონტექსტში, ე.წ. შიდა ინტრიგები ახსენეთ... მოდით, ეს თემა გაშალეთ...**

— შიდა ინტრიგები, ბუნებრივია, არსებობს...

**— მაინც, რას გულისხმობთ?**

— სპეცსამსახურები ყველა უწყებაში დასაყრდენს ერთი და ორი დღით ადრე არ ქმნიან. გავლენის აგენტურას წლობით ზრდიან, რომელიც ხანდახან უმაღლეს თანამდებობებსაც იკავებს. როცა მოწინააღმდეგე ქვეყანას მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა უნდა, გავლენის აგენტურის ამოქმედებას სწორედ მაშინ იწყებს.

**— სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...**

— ჩვენი ტერიტორიები რუსეთის მიერაა ოკუპირებული...

**— ეს ვიცი, მაგრამ გავლენის აგენტურა და ინტრიგები რა შუაშია?**

— იმ შუაშია, რომ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები ამ საკითხს მაქსიმალურ ყურადღებას უნდა უთმობდნენ და თავიანთი საკადრო რესურსის ბეგრაუნდს სწავლობდნენ...

**— ამაზე სხვა დროსაც გვილაპარაკია... გაკვრით თქვით, „კაბელების საქმე“ ირაკლი ალასანიას მოუწყვესო...**

— ამ საქმეში გენერალი კაპანაძე არ ფიგურირებდა, მაგრამ ის პირები, ვინც „კაბელების საქმის“ გამო დააკავეს, პირდაპირ გენშტაბის ხელმძღვანელს ექვემდებარებოდნენ და, წესით, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დამდგარიყო, მით უმეტეს, რომ შეიარაღებული ძალები მკაცრად იერარქიული სისტემაა, მაგრამ კაპანაძე ამ სიტუაციიდან გამოძვრა — მთელი დარტყმა ალასანიაზე წავიდა, გენშტაბის უფროსზე კი ხმა არავის ამოუღია. ამიტომ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი მკვეთრად პროდასავლური ხელმძღვანელის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო. საერთოდ, ყოველთვის ასეა: თუკი თავდაცვის სამინისტროში მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციის ხელმძღვანელი მიდის, მასზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეტევა იწყება. მაგალითად, თავის დროზე დავით თევზაძე ყველაფერს აკეთებდა, რომ დასავლური ორიენტაცია შეენარჩუნებინა და შეტევა მასზეც არაერთხელ მოხდა. დარტყმები კი, ყოველთვის გენშტაბიდან მოდის.

**— თინა ხიდაშელსაც „არტყამენ“?**

— დიახ, „არტყამენ“.

**— რა ფორმით?**

— იმაზე მეტი „დარტყმა“ რაღა უნდა იყოს, რომ გენშტაბის უფროსი პუტინთან ყურში მოჩურჩულე ბეჟუაშვილის მეგობარია?!

**— ეს არაფერს ნიშნავს!**

— როგორ გეკადრებათ! გენშტაბისა და გელა ბეჟუაშვილის ურთიერთობა ცნობილია და ამიტომ ვლაპარაკობ. მოქმედ თუ ყოფილ თანამდებობის პირებს შორის პოლიტიკური თანხვედრები ყოველთვის არსებობს. ბეჟუაშვილების პოლიტიკური მიმართულებები კი, კარგადაა ცნობილი — პუტინი ყურში ტყუილად არავის ეჩურჩულება!

**— ბატონო კოტე, მაპატიეთ, მაგრამ ლოგიკაში ვერ მოგყვებით...**

— პირდაპირ გეუბნებით: გენშტაბის დღევანდელი უფროსი, 2007-2008 წლებში, პოლონეთიდან საჰაერო თავდაცვის სისტემების მოწოდებაზე იყო პასუხისმგებელი — პოლონეთში სპეციალური დავალებით გააგზავნეს...

**— მერე?**

— მერე ის, რომ ამ საჰაერო თავდაცვის სისტემამ აგვისტოს ომში არ იმუშავა. ამ ფონზე, ვკითხულობ: ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?

**— მაშასადამე, აცხადებთ, რომ თავდაცვის სამინისტროში ბეჟუაშვილების კლანია?**

— დიახ, თავდაცვის სამინისტროში, ვახტანგ კაპანაძის სახით, ბეჟუაშვილების გავლენა იგრძნობა! კაპანაძე ლოკომოტივია და მას ვაგონები აქვს ჩაბმული. აბა, თითოეულ „ვაგონს“ ჩაჰყევით: მაგალითად, გენშტაბის უფროსს თანაშემწედ საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი, გოგიაშვილი ჰყავს, რომლის დროსაც მარნეულის საჰაერო თავდაცვის ბაზა მთლიანად განიავდა. როცა შეკითხვები არსებობს, ეს ადამიანი გენშტაბის უფროსის გვერდით რატომაა? სხვათა შორის, ყველანი ყოფილი საბჭოთა ოფიცრები არიან...

**— სამხედრო პროფესიონალი რომ გახდ-**

გაგრძელება მე-3 გვ.

საზოგადოება



# ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა თაობას განათლების უფლებას ართმევენ!

**განათლების სამინისტრო ისევ სკანდალშია: ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ გაირკვა, რომ წელს 28 053 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. 18 ათასი ადგილი კი, უნივერსიტეტებში, როგორც იტყვიან, თავისუფალი დარჩა — მაღალქუსლიანი აბიტურიენტების ნაწილი სასწავლებლებში ვერ ჩაირიცხა, რის გამოც ისინი მეორადი ჩარიცხვების დაშვებას ითხოვენ.**

„წელს, უნივერსიტეტს გარეთ, ძალიან ბევრი მაღალქულიანი აბიტურიენტი დარჩა. არიან ბავშვები, რომელთაც 50%-ზე მეტი ქულა დააგროვეს, მაგრამ მაინც ვერსად მოხვდნენ. განათლების სამინისტრომ ისინი გარეთ სრულიად უსაფუძვლოდ დატოვა“, — განუცხადა „გურია ნიუსს“ ერთ-ერთი აბიტურიენტის მშობელმა.

მოკლედ, სასწავლებლებს გარეთ დარჩენილი მაღალქულიანი აბიტურიენტები სწავლის უფლებას ითხოვენ, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ანუ მაია მიმინოშვილის უწყებაში კი აცხადებენ, რომ მეორადი ჩარიცხვები არ იქნება.

„რეგისტრაციიდან დაწყებული, თვეების განმავლობაში, ჰქონდათ ვადა, რომ მათთვის სასურველი უნივერსიტეტები, ფაკულტეტები შეუზღუდავი რაოდენობით მიეთითებინათ. მათ ეს არ გააკეთეს მანამ, სანამ ჩარიცხვების პროცესი არ განხორციელდა. ხომ არ შეიძლება, მთელი წლის განმავლობაში ამ პროცესში ვიყოთ ჩართულები? სამი წლის განმავლობაში, ერთი და იგივე კითხვას ვსვამ: ეს რატომ არ გააკეთეს? შარშანაც და შარშანწინაც ჩვენი ორგანიზაცია მეორადი ჩარიცხვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. არიან აბიტურიენტები, რომლებიც სრულიად შეზღუდულ რაოდენობას უთითებენ უმაღლესი სასწავლებლების, ზოგს ერთი უმაღლესი სასწავლებელი აქვს მითითებული და ზუსტად იცის, რომ იქ უნდა სწავლა და არა — სხვაგან. რატომ არ უნდა ვცეთ პატივი ასეთ აბიტურიენტებს?“ — ამბობს მიმინოშვილი.

გასაგებია, რომ ქალბატონი მიმინოშვილი კანონის უზენაესობის მომხრეა და ასეც უნდა იყოს, მაგრამ აქ ლაპარაკია არა, როგორც ნუკრი ქანთარიამ აღნიშნა, მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე, არამედ, განათლების უფლებაზე, რომელსაც მიმინოშვილი და მისი სულიერი და-ძმანი მომავალ თაობას ართმევენ!

ისე, შემდგარი სახელმწიფო რომ ვიყოთ, მსგავსი პრობლემა თავს არ იჩენდა, რადგან ე.წ. მეორადი ჩარიცხვები, როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, ევროპაშიც აპრობირებული მეთოდია!

საერთოდ, როცა საქმე მომავალ თაობას ეხება, განათლების სამინისტრო და, შესაბამისად, გამოცდების ცენტრის თავქალი ერთობ ხისტ პოზიციას იჭერს ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, ორი წლის წინაც, როცა ლამის მთელი პარლამენტი ითხოვდა, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული აბიტურიენტები, თითო-ოროლა ქულის სიმცირის მიუხედავად, სტუდენტები გამხდარიყვნენ, მაგრამ... ამაოდ.

ყველაფერ ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ თაობა, რომელმაც ქვეყანა ფეხზე უნდა დააყენოს, სამშობლოდან წავიდეს!

## სკანდალური ექსკლუზივი




გასაგებია, იაკობაშვილი ვისი ინტერესების გამტარებელიცაა. თუ საქმე კანონდარღვევასთან გვაქვს, იაკობაშვილი კი არა, ვინც უნდა იყოს, პასუხი უნდა აგოს!

რაც შეეხება ყველაფერ ამის პოლიტიკურ მხარეს, კაზინო „აჭარაში“ შესაბამისი უწყებები, თუ არ ვცდები, ერთი კვირაა, შევიდნენ. ამასობაში, საქართველოში ნატო-ს გენმდივანი ჩამოდის. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლების უმაღლესი შტო პრორუსულადაა განწყობილი.

**— იმის თქმა გინდათ, რომ კაზინო „აჭარის“ გარშემო განვითარებული მოვლენები კრემლისთვის სიგნალია?**

— დიახ, ასეა. როცა იაკობაშვილსა და მის ბიზნესს ეხები, ეს იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ რუსეთის ინტერესებს ეხები. ამას რუსეთიც მისდამი მტრულ ნაბიჯად აღიქვამს...

სხვათა შორის, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ეს ნაბიჯი საქართველოში რუსული ბიზნეს-ინტერესების გაზრდის შესაკავებლად გადაიდგა. საერთოდ, იაკობაშვილი კი არა, ნებისმიერი რუსული კაპიტალი საქართველოსთვის დიდი საფრთხეა. საფრთხეა „ბილაინი“ და სხვა რუსული კომპანიებიც, რომლებსაც საქართველოში მძლავრი ბერკეტები აქვთ. აი, მაგალითად, „თელასი“, რომელიც ტარიფის გაზრდას ითხოვს... ყველაფერი ეს პირდაპირ ხალხის განწყობას, ირიბად კი, ხელისუფლებას ურტყამს.

**— სხვათა შორის, ევროკავშირი ანტირუსული პროპაგანდის გაზრდას ცდილობს. მოქმედმა ხელისუფლებამ ეს პროპაგანდა როგორ უნდა გაზარდოს? — ვთქვათ, ისე, როგორც სააკაშვილის მმართველობის დროს იყო, რუსული ტელეარხები აკრძალოს?**

— პროპაგანდა რეალობის ასახვაა და მეტი არაფერი. ძირგამომთხრელი საქმიანობა პირდაპირ ბომბის სროლას არ ნიშნავს. ძირგამომთხრელი საქმიანობისას ყველაზე საშიში იმ დესტრუქციული ელემენტების გაჩენაა, რომლითაც მოწინააღმდეგე ქვეყნის გავლენა იზრდება. ამ კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე საშიში ეკონომიკური დივერსიაა. ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, დივერსიის ნიშნებს ატარებს...

ისე, დეკლარირებული რუსული განცხადებები არაფერს ნიშნავს.

**— რატომ?**

— რატომ და, — გავიხსენოთ, თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილი რუსეთის კონტექსტში ფეკალიებსა თუ ცხინვალში შევარდნაზე რომ ლაპარაკობდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ რუსული „კანტორა“ იყო. მოკლედ, სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას...

**— ბატონო კოტე, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, რას ფიქრობთ, რუსეთს რა ელოდება?**

— არაფერი! რუსეთი იმპერიული სახელმწიფოა.

**— ყველა იმპერია, ადრე თუ გვიან, იშლება!**

— კი ბატონო, მაგრამ ელემენტარულად, ფეხბურთი ავიღოთ — ჩემპიონთა ლიგის ძირითადი სპონსორი „გაზპრომია“, ანუ რუსული კომპანიები დასავლეთში ისე მძლავრად არიან, რომ რუსეთს ანგარიშს დასავლეთიც უწევს და შედეგი ბოლომდე ვერც ეკონომიკური ემბარგოთი დადგა.

**— სიტყვამ მოიტანა და, ჩინეთმა რუსულ გაზზე უარი თქვა... ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მაგისტრალზე ბოლო დროს მომხდარ აფეთქებებს კი, ზოგიერთი ექსპერტი რუსულ დივერსიად ნათლავს...**

— აფეთქებები, ძირითადად, მძიმე რეგიონში — ქურთისტანის მეზობლად ხდება. ქურთისტანში არაფორმალური კლანური მმართველობაა და ამ აფეთქებებით ზეგავლენა, პირველ რიგში, აზერბაიჯანზე ხდება, ანუ ყველა აფეთქებით მხოლოდ აზერბაიჯანი კი არა, თურქეთიც სერიოზულ ზარალს ნახულობს, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესშია. სხვათა შორის, ნავთობსადენზე ნებისმიერი პრობლემის გაჩენა აშშ-ის ინტერესებსაც ურტყამს. სხვათა შორის, ამერიკელებმა და თურქებმა დადეს შეთანხმება, რომ აი-სი-სი-ს წინააღმდეგ, საჰაერო დაბომბვისას ერთობლივ სამხედრო ძალებს გამოიყენებენ. ეს აშშ-ს მხრიდან თურქეთის ღია მხარდაჭერაა, რაც პუტინის მიერ თურქეთისადმი ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს მოჰყვა.

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

(თემის გაგრძელება იქნება)

**„ამ საქმეში გენერალი კაპანაძე არ ფიგურირებდა, მაგრამ ის პირები, ვინც „კაბელების საქმის“ გამო დააკავეს, პირდაპირ გენშტაბის ხელმძღვანელს ექვემდებარებოდნენ და, წესით, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დამდგარიყო, მით უმეტეს, რომ შეიარაღებული ძალები მკაცრად იერარქიული სისტემაა, მაგრამ კაპანაძე ამ სიტუაციიდან გამოძვრა — მთელი დარტყმა ალასანიაზე წავიდა, გენშტაბის უფროსზე კი ხმა არავის ამოუღია. ამიტომ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი მკვეთრად პროდასავლური ხელმძღვანელის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო. საერთოდ, ყოველთვის ასეა: თუკი თავდაცვის სამინისტროში მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციის ხელმძღვანელი მიდის, მასზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეტევა იწყება“.**

მე-2 გვერდიდან

**ეს, არაერთი წელია საჭირო...**

— კაპანაძეს ვერ დავაბრალებ, რომ ძალიან დიდი პროფესიონალია...

**— არ გეწყინოთ და, გენშტაბის უფროსზე, მგონი, აკვიატება გაქვთ...**

— არა, არა! წინა ინტერვიუში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: კაპანაძემ თავისი ბოლო გადაწყვეტილებით მიხეილ სააკაშვილის იმ შავბნელ დანაშაულობებს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში ჩაიდინა, ხელი დააფარა! ლაპარაკია მილიონობით თანხაზე, რომელიც არავინ იცის, ვის ჯიბეში წავიდა. კაპანაძეს ხომ არ ვთხოვ, ვთქვათ, ის საკითხი გაარკვიოს, აგვისტოს ომი ვინ დაიწყო. უბრალოდ, მაინტერესებს, სად წავიდა თავდაცვის სამინისტროდან ის ფული, რომელიც 2007-2008 წლებში, უწყების გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, საჰაერო სისტემებისა თუ სახმელეთო ჯარებისთვის ჯავშან-ტექნიკის შესაძენად გადაიხადეს. ამ შეკითხვებს მე კი არა, აშშ-ის ფედერალური ბიურო სვამს...

**— მოკლედ, ბატონო კოტე, აცხადებთ, რომ არსებობს ჯგუფი, რომელიც რუსულ ინტერესებს ატარებს, არა?**

— დიახ, რა თქმა უნდა...

**— ვთქვათ, ასეა, მაგრამ ამასობაში, შესაბამისი უწყებები დავით იაკობაშვილის ბიზნესით ინტერესდებიან...**

— ვანო, ჩემი განცხადებებისგან არასოდეს გადამიხვევია.

**— ეს რა შუაშია?**

— პოლიტიკაში გამოჩნდა თუ არა, ყველა ამბობდა, ივანიშვილი რუსული პროექტიაო, მაგრამ მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ: ადამიანი, რომელსაც ამხელა ფინანსური იმპერია აქვს, არ შეიძლება, ვინმეზე იყოს დამოკიდებული! ივანიშვილი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ფიგურაა და პოლიტიკას თავისი შეხედულებებით წარმართავს! ივანიშვილის „გაზპრომის“ ფულთან მიბმა მიშას პოლიტიკა იყო. შე მამაცხონებულო, მაშინ, როცა შენს მთავრობას აფინანსებდა, „გაზპრომის“ ფული არ იყო?!

რაც შეეხება დავით იაკობაშვილს, მას საქართველოში „როსნეფტი“ დავით კეზერაშვილმა შემოაყვანინა, ანუ ის, პრაქტიკულად, საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი ძირგამომთხრელი საქმიანობის ფინანსური საყრდენია. იაკობაშვილმა საქართველოში ისეთი კომპანია შემოიყვანა, რომლის ხელმძღვანელის შვილიც პირდაპირ პუტინზეა „მიბმული“. აქედან გამომდინარე,



№ 35 (299)
2-8 სექტემბერი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



## მივხედოთ სოფელს!

გვარიშვილობის
ტოლფასს და სწორფერს,
დროზე მივხედოთ,
მივხედოთ სოფელს!
იქიდან მოდის
ძეც და ასულიც,
სოფელი არის
ჩვენი წარსული!
მაშ, უწარსულოდ
ვინა სთქვა აწმყო?
უარვყოთ დროზე,
რაც ჩვენს მტერს აწყობს!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ორი მოგონება სვანეთზე

### სვანეთის ნისლი

იმ დღეს საშინლად წვიმდა მესტიაში. ილო გაბლიანის სახლის ღია აივანზე ვისხედით მასპინძლები და სტუმრები. სტუმართა შორის იყო ცნობილი გერმანელი მთამსვლელი ბატონი შუმანი, მეუღლითურთ და ორი მისი მეგობარი.

ძლიერი წვიმის ხმა, ეზოს იქით, აზვირთებული მდინარის ხმას ერთვოდა და განიცდებოდა შიშისმომგვრელ სტიქიურ და, ამასთანავე, დიდებულ ძალად. შევამჩნიე, რომ ბატონი შუმანი ხანგამოშვებით დგებოდა, აღებდა პირს, ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, შლიდა ხელებს, ჯდებოდა და კვლავ დგებოდა. გაკვირვებულმა მივადევნე თვალი მის ყურადღებას და დავინახე სასწაული: პირდაპირ, ტყით დაბურული მთა ნისლში იყო გახვეული. ნისლი ფერს ყოველ წუთში იცვლიდა: შავი გადადიოდა ნაცრისფერში, ფერმკრთალდებოდა, ღებულობდა რძისფერს, შემდეგ, ვარდისფერდებოდა და ხდებოდა წითელი; წითელი მუქდებოდა, ხდებოდა შავი და ყველაფერი ისევ მეორდებოდა.

წვიმა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ბოლოს, შეწყდა და ზურმუხტისფერი ტყე ვარდისფერი ნისლის გრძელი ბაბთით დაგვენახა, ფოთლებზე შეუმშრალი წვიმის მოციმციმე ცრემლების უთვალავი სამკაულით გაპრანჭული.

„**das ist ausgezeichtnet**,“ - წამოიძახა ბატონმა შუმანმა. წამოიძახეს მისმა მეგობრებმაც. მართლაც, ბრწყინვალე, დიდებული სანახაობა გახლდათ.

**P.S. ეს ის შუმანია, რომელიც უშბის ერთ-ერთი კალთიდან ჩამოვარდა, ასეული მეტრი იფრინა და სვანებმა, თუ შეიძლება ითქვას, აკრიფეს თოვლის საფარიდან. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ, საავადმყოფოდან გამოსულს, უთქვამს: „მე სვანეთის ნისლმა გადამარჩინა...**



### მთის იმ კალთას ეძინა

მესტიაში, ი. გაბლიანის ოჯახში სტუმრობისას, საოცარი რამ მოვისმინე...

ერთ დღეს, ი. გაბლიანის ქალიშვილმა, ჩემმა მეგობარმა ცირუმ მითხრა: დღეს, ჩვენთან, ცნობილი მხცოვანი მთამსვლელები მოვლენ ახალგაზრდა მთამსვლელებთან მოსალაპარაკებლადო. თუ რატომ, არ მიკითხავს.

საღამო ხანს, ჯერ ახალგაზრდები, შემდეგ კი, უხუცესები მოვიდნენ. აივნის ერთ კუთხეში მდგარ მაგიდასთან დასხდნენ. მე ოთახში ვიჯექი. აივნის ღია ფანჯრიდან კარგად ისმოდა მათი საუბარი. ისინი, ძირთადად, სვანურად ლაპარაკობდნენ, ხანდახან კი, — ქართულად. ნათლად გავიგე: უფროსი ალპინისტები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ახალგაზრდებს დაელაშქრათ უშბის ერთ-ერთი კალთა. ახალგაზრდები არ თანხმდებოდნენ.

ბოლოს, ერთმა მხცოვანმა ალპინისტმა გაბრაზებით მიმართა ახალგაზრდებს:

— რად არ გესმით. ამ დროს უშბის ამ კალტას სძინავს. თქვენ რომ გეძინოთ და გაგაღვიძონ, ხომ გაბრაზდებით?!

მეუცხოვა გამოთქმა — „მთის ამ კალთას ახლა სძინავს“ და მეტად საინტერესოდ, საოცრად აღვიქვი.

ახალგაზრდებმა მაინც თავისი გაიტანეს და მეორე დილით, უშბის ამ კალთის დასალაშქრად ხუთკაციანი ჯგუფი გაემგზავრა. ორი დღის შემდეგ მოვიდა ცნობა ორი მათგანის დაღუპვის შესახებ.

საოცარი გლოვის ზარი ისმოდა მთელ მესტიაში და თავისი სიძლიერით უშბის მიძინებულ კალთას აღვიძებდა. გავიფიქრე, ამ ზარმა ხომ არ გააღვიძამეთქი, მაგრამ არა, ის უფრო ადრე გააღვიძეს...




## 80 წლის თამაზ ცინცაძეს!

ეს ცხოვრება თუ მკაცრია,
კვლავ შეიცვლება ამინდი,
თამაზ ცინცაძე კაცია,
ცითმოვლენილი რაინდი.
ჟამი მწუხრისა ვერ მოდგეს,
შენს გვარს და სახელს ჩემობენ,
გემღერებოდეს — მღეროდე,
გეტირებოდეს, — მღეროდე!
მსურს, წლებს ესროლო დამბაჩა,
უფალიც, ალბათ, გამოგცდის,
80 წლის ხარ? რა დაგრჩა, —
ალბათ, სულ ცოტა, სამოცი!

შენი ჯანსუღი
2 სექტემბერი, 2015 წელი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

2-8 სექტემბერი 2015 № 34 (299)



## პოეზია



# რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ

ილია ჭავჭავაძე

**მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები**

**შოთა რუსთაველი**

მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა;
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა.
ეგრე იქნება მუდამ, მეგონა,
მადლიერად და უნაღვლოდ მამა,
მაგრამ კი ბოლოს ის დააღონა,
მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...
დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
მამი-ჩემისა უბედურობა,
მამა თანდათან მიბერდებოდა,
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!..
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი,
შრომის სურვილი იმ უბედურსა,
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დროგარდასრულსა.
საბრალო მამა ჰხედავდა ცხადად,
რომ რამდენადაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, ძამო, გლეხკაცის ბედი,
ის უკუღმართი, უღმრთო წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გაუბრუნდდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!
მაშინ შევიქენ მეც ოცის წლისა...
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრს ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,
თუ გულსმოდგინედ მივეშველოდი.
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა,
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვღუპავდი,
შინ კი ოჯახი მეღუპებოდა.
ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა.
მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულმოწყვეტილი
იახლა ამ-გვარს უხამსსა ბატონს.
- შენი ჭირიმე, - უთხრა, - ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამაღონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი.
**ბ ა ტ ო ნ ი**
- რაო, რას ბოდავ?
**მ ა მ ა**
- შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.
**ბ ა ტ ო ნ ი**
— ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?..
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?
**მ ა მ ა**
— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბრძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძლურდი,
თორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
მანამ შემეძლო — სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა;
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო,
ველარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!..
ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!..
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კვნესამე,
მინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი,
გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა.
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
ამდენი ჯაფა გამიწევია
ნუთუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროო-დროდ ადრე და მალე
მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!
**ბ ა ტ ო ნ ი**
— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვი კარგ მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო, გერჩივნოს შენსას...
არა, „ერთი მაქვს — სჯობს ათასს მქონდეს“...
**მ ა მ ა**
— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები.
**ბ ა ტ ო ნ ი**
— გამეცა, ვირო ნუ მეღრიჯები!
**მ ა მ ა**
— რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა!
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბრძანე, შენი კვნესამე, შენი!
**ბ ა ტ ო ნ ი**
— თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენაღვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.
მ ა მ ა
— შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, —
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...
ბ ა ტ ო ნ ი
— სუ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმინდე ხმა!..
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...
მ ა მ ა
— როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით
მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ,
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, —
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..“
ეს იყო, ძამო!.. ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის ულმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექმნა, აბა სთქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა!..
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა,
ვერ დაულბო, ვერ, გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედგაწყვეტილ, მოკლულმა გულმა,
და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.
ჩიბუხის ტარით მამა-ჩემს მტრულად
ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გალახულა თავისი დღენი.
საწყალი იყო თავის-მომწონე,
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,
„ბიჭო, როზგები! ბიჭო, როზგები!“
და მამა-ჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმები!..
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
იმისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე, რომ მაგონდება...
არც ულონობამ, არც სიგამხდრემა,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა!..
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი...“ —
გულამომჯდარმა წაიდუდუნა,
მერე მდუმარემ მწუხარე თავი
ამოიკვნესა და ძირს ჩაღუნა.
წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გული
და შეუტია მწყრალად ზაქროსა:
— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგაძაღლებდი
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...
რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
როგორ სწუწვნიდნენ მამა-შენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა წადი...
შენ, ძმავ, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,
შენ დედაკაცად დაბადებულხარ,
ფუ, მაგ კაცობას!
მ ხ ე დ ა რ ი
— კაკო, ნუ სწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...
მინამ ბატონი ხელითა სცემდა —
როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ“ რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი მამას მოჰკლავდნენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით
შესჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა, ულმრთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.
მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თექა,
და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის-ფიცარი —
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა.
კ ა კ ო
— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა —
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აი, დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა —
ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძამო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წეღან გითხარ, ყველა დამითმე,
ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ-წინ თავი დაიღოს.
მ ხ ე დ ა რ ი
— განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი.
ვით მეტი იყო წეღან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.
მაგრამ, ეჰ, კაკო!.. მე მაგ სიკვდილმა
გულის ჭრილობა არ გამიმრთელა;
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა
მამას ვერაფრით ველარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა...
მივვარდი მამას... უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად გაშეშებული!..
ვაიმე, მამა მე მომკდომიყო
როზგ-ქვეშა ულმრთოდ, უზიარებლად!..
მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.
და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

№ 35 (299)

2-8 სექტემბერი 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# აბოს წამება

**წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი. ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლსა კათალიკოზისაჲთა**

მე, სამოელ, ქრისტჱს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის-ძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ; მშჳდობაჲ იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტჱს მიერ!

ჩუენ თჳთ უწყით წადიერებაჲ შენი ღმერთის-მსახურებისათჳს და ღმრთივ-მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულს-მოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათჳს. შენ თჳთ უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტჳლა მეოხად ქრისტჱს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს.

მნებავს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტჳლობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტჱს მოწამეთაჲ და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაჴსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთჳსცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი ჴელითა ხსართან მღდელისა ჩემისაჲთა.

აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩემი და ჯუარისა დაწერაჲ ჴელითა ჩემითა და შეწევნითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდათა მოციქულთაჲთა და მოწამეთაჲთა ჴელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თჳთ უწყი, და აღწერე მარტჳლობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩუენ მოგჳძღუანე, რაჲთა უმეტჱსად ლოცვა ვყოთ შენთჳს. მადლი უფლისა იყავნ შენ ზედა. ამჱნ!

პასუხი წიგნისაჲ იოვანჱს მიერ

მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმრთივპატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე ჴელითა სიწმიდის მოყუარისა ხსართა მღდელისაჲთა, რომლისათჳსცა აღპყრობითა ჴელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა ულირსებამან ჩემმან ყოვლად-ძლიერისა და ქველის მოქმედისა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა, რომელმან არა დავიწყებულ-ყო სიმდაბლჱ ესე ჩემი ღმრთივ-შეწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელთაცა ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად. და უფროჲსღა ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან დაჰნერგა გულსა მამფლისასა ესევითარისა ამისთჳს ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ ჴორცთა მექმნების მე საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას.

აწ რაჲ მოვაჴსენო უფლებასა თქუენსა? მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე; უკუეთუ ურჩ ვექმენე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთჳსცა იტყჳს: „უდარჱსსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერჱსსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთჳს შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებაჲ ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობჱსად შევრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი და აღვემართე ღმრთის სათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძლუნის მიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა ჩემ ულირსსა ზედა და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთა-მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, ვითარმედ „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“. ვითარცა იგი მან თჳსსა უდიდჱსსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თჳსა.

მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერჱსსა ჩემსა აღებად და წადიარებაჲ გულისა ჩემისაჲ აღავსო უფალმან, და აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტჳლობაჲ, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მოწამისაჲ მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰაბოჲსითა და მოგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომლისათჳს კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტჱს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რაჲთა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა ულირსებაჲ ჩემი.

საკითხავნი წმიდისა ჰაბოჲსნი, თავნი დ

პირველი თავი: ღმრთის-მსახურთა და მარტჳლთ-მოყუარეთა კრებულისათჳს თხრობაჲ და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲს ჴსენებაჲ.

მეორჱ თავი: ქართლად შემოსლვაჲ და ნათლის-ღებაჲ ნეტარისა ჰაბოჲსი.

მესამჱ თავი: მარტჳლობაჲ წმიდისა ჰაბოჲსი.

მეოთხჱ თავი: ქებაჲ სანატრელისა წმიდისა ჰაბოჲსი.

პირველი თავი

ღმრთის-მსახურებისათჳს შეკრებულთა მათ უწყებაჲ და

მარტჳლთ-მოყუარეთა მათ სწავლაჲ და ახლისა

ამის მოწამისა მოჴსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი

საყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტჱს, ძისა ღმრთისანო, და სამკჳდრებელნო სულისა წმიდისანო! გხედავ თქუენ, ვითარცა ღმრთივ-ცნობილთა და ღმრთისა მცნობელთა, ამისთჳსცა გარქუ თქუენ მონად და მეგობრად ქრისტჱსა. მონად ამის გამო, რამეთუ „პატიოსნითა სისხლითა მისითა სყიდულ ხართ“ თქუენ, ხოლო მეგობრად ამისთჳს, რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და დაბადებულნი და სიყუარულითა მისითა ნათელ გჳღებიეს.

აწ გლოცავ თქუენ ქრისტჱს მიმართ სურვიელითა გულითა: მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, - რამეთუ ქრისტჱსთჳს არიან და სანატრელთა მისთა მოწამეთათჳს, - შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანჱ განუმზადეთ. რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკჳდრებად ასოთა შინა თქუენთა, ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღუარმან ეკლესიათამან, ვითარმედ „ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის“; და უფალი იტყჳს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: „მე მოვიდე და დავიმკჳდრო თქუენ შორის“, და წმიდასა შინა სახარებასა იტყჳს, ვითარმედ „სასუფეველი ღმრთისაჲ გულთა შინა თქუენთა არს“.

ამისთჳს, საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რაჲთა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყჳთა და თქუენ სმენითა, - რაჲთა ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენთაჲ.

და არა თუ ხოლო ჩემდა მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ ჯერ-არს თქუენდაცა დაკჳრვებად ჩემ თან, რომელნი ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშჳდესა დარსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისათჳსცა უფალი იტყჳს, ვითარმედ „მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ“; და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავსიდებდენ, არამედ გულის-თქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებდენ მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე-მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის.

რამეთუ რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაჲთა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისაჲთა, თჳთ თავით თჳსით შჯულის-დებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱსგან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულ-დებულ ყოფილ [არიან] წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა.

მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნნეს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, არამედ ქრისტჱს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა. არა განეშორებიან მხოლოდ-შობილსა ძესა ღმრთისასა.

ესევითარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამჱ; არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი, სარწმუნოებისაგან ჩუენისა უცხოჲ, უცხოჲთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა, რომლისათჳსცა დღეს კუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებამან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გჳრგჳნოსან-ყო ეკლესიაჲ, და ყოველი კრებული ქრისტეანეთაჲ ერთბამად განანათლა, და ყოველნივე პირნი ღირს იქმნნეს ამას დღესა გარდამეტებულისა მადლისა შეწირვად ქრისტჱს მიმართ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა.

რამეთუ მრჩობლ იქმნა დღესასწაული ესე ღმრთის-გამოცხადებისაჲ და მადლმან ღმრთისა მამისამან, გამოჩინებითა მით ჩუენდა საყუარელისა ძისა თჳსისაჲთა და გარდამოსლვითა სულისა წმიდისა მისისაჲთა, სარწმუნოებითა შეთხზული იგი გჳრგჳნი მარტჳლთა თჳსთაჲ დაადგა თავსა ზედა ეკლესიასა, რომლისაგანცა სიმრავლჱ იგი დღესასწაულთაჲ, ვითარცა გჳრგჳნი, გარემოადგეს და ღმრთისმოყუარეთა მათ ჩვეულებაჲ აქუს მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოჲსთჳს დიდებისა.

რამეთუ ერთად შეკრებითა მით მათითა მრავალი ღმრთის-მსახურებაჲ აჩუენიან, არა თუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვნებისა უძღებებაჲ შორის მათსა იპოვის, არამედ ყლველთა წილ საჭმელთა გემოვანთა ძალი იგი საღმრთოთა სიტყუათა ტკბილადი გამოვალნ პირსა მათსა, რამეთუ სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ ოხრინ შორის მათსა, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფალო, უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“. რამთუ შეკრებასა მას ჭამადთასა განძღებაჲცა აქუს, ხოლო ღმრთისა სიტყუათა მოჴსენებასა არა არს განძღებაჲ ღმრთის-მოყუარეთა სულთაჲ.

და კულად: „წმიდათა მათ მარტჳლთა ჴსენებითა ვინმემცა განძღა მარტჳლთ-მოყუარჱ?“ და ერთგულებაჲცა აქსუ უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყჳს უფალი წმიდათა მისთა: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა“; ამისთჳს უფროჲსღა გულსმოდგინედ საღმრთოთა მათთჳს არნ შეკრებაჲ იგი მათ; მუნ შუვა წარმოიხუნიან სიტყუანი იგი ცხორებისანი, მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებაჲ აღორძნდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მუნ მოძღურებანი იგი მადლისანი, მამათ-მთავართა იგი შუენიერებაჲ, წინაჲსწარმეტყუელთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწებაჲ, ქრისტჱსი იგი თავს-დებაჲ, ჩუენთჳს ვნებაჲ.

რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ექმნის ჭაბუკთა მოთხრობითა მით სიმჴნჱ იგი ქრისტჱს-მოღუაწეთაჲ და სიქადულ და მხიარულება მოხუცებულთა ჴსენებაჲ იგი ღუაწლისა მის მარტჳლთაჲსაჲ. და საწადელ და სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიისათა კრებაჲ იგი დღესასწაულისა მის წმიდათაჲსაჲ.

და ემსგავსნიან შორის ეკლესიასა ჴმანი იგი მათნი ანგელოზთა მათ გალობის შემსხმელთა და სული წმიდაჲ იხარებნ შორის მათსა თავყუანის-ცემული, და მამაჲ იდიდებინ და კაც-მოყუარებაჲ იგი და ქველის-მოქმედებჲ ძისაჲ იქადაგებინ. რამეთუ ყოვლისა მპყრობელმან ღმერთმან და დიდად უხუმან უფალმან, რომელმან არა უგულებელსყო ურვაჲ კაცთაჲ და სიყუარულისათჳს კაცთაჲსა ქალწულისაგან წმიდისა ჴორცნი შეიმოსნა, წმიდითა მით ჴორცითა მისითა სამოთხით გამოვრდომილსა მას კაცსა დაცემულსა ზეცად აღუწოდა და მოუწდომელსა მას საიდუმლოსა ღირს-ყო, რომელ-იგი არა იყო, და დაადგრა, რომელ-იგი იყო, დიდებაჲ მაცხოვრისა ჩუენისაჲ, იესუ ქრისტჱსსა მას დამდაბლებასა ჩუენთჳს.

რამეთუ დამდაბლდა და მიჴსნნა ჩუენ, აღმაღლდა ზეცად, ვინაჲცა გარდამოჴდა, და მიწისაგანი ესე კაცებაჲ თანა-აღიყვანა და მარჯუენით მამისა მჯდომარე არს, რომელი იგი საკჳრველად განგებულებით შეიერთა ღმრთეებამან, რომელიცა-იგი ორითავე მით სახელითა, - ერთი ძჱ ღმერთად და კაცად, თჳნიერ განყოფისა, - იქადაგების, იგივე „სახელით ენმანუელ - ჩუენ თანა ღმერთი“ და კაცი, „რაჲთა, სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუჴლი მოდრკეს, ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი, და ყოველმან ენამან აღუაროს“ სახელსა მისსა.

რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკჳრველ და უფალ და ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისაებრ ჩემისა და გულს-მოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა, საყუარელნო: კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარილ, მატლ, მარცუალ მდოგჳს, მზე სიმართლის, ძე მამის უკუდავის და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ.

რამეთუ უქცეველ და განუქარვებელ არს შემდგომად ჴორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმრთეებისა იგი ბუნებაჲ, რომლისათჳვს, უკუეთუ შემძლებელ ვიქმნეთ, თითოეულის ამის სახელისათჳს, ჭეშმარიტად უწყებად თქუენდა. გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქუენ, ქრისტჱს-მოყუარეთა.

კარ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ კარი ცხოვართაჲ“, რამეთუ ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კარსა მას სასუფევლისასა შევალთ.

გზა ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზაჲ და ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ“, რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ გზა.

ტარიგ ეწოდა, „რამეთუ ჩუენთჳს დაიკლა“ და მარადის ცხოველ არს და ჴორცთა და სისხლთა მისთა ჩუენდა განყოფითა ცხორებასა საუკუნესა მოგუანიჭებს.

მწყემს ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ მწყემსი კეთილი“, ჭეშმარიტად ცხოვარნი შეცთომილნი მოგუაქცინა და მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა ჯუარისაჲთა მოკლა და მისგან დაჴსნილი იგი გუამი პირველ-შექმნულისაჲ მის ძალითა ღმრთეებისაჲთა კუალად განაცოცხლა და ნაკბენი იგი გესლიანისა მის მგელისაჲ წყლულებითა თჳსითა განკურნა და გესლი იგი მომაკუდინებელი წამლითა მით ღმრთეებისა თჳსისაჲთა განაქარვა და აღასრულა სიტყუაჲ იგი, წინაჲსწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ: „იწყლა იგი, ცოდვათა ჩუენთათჳს და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“.

ლოდ საკიდურ ეწოდა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი-იგი შეურაცხ და განგდებულ იქმნა მღდელთ-მოძღუართა მათგან და მწიგნობართა ნათესავისა ჰურიათაჲსა იერუსალჱმს, არამედ ესე თავ ყოველთა ცის-კიდეთა იქმნა.

**იოანე საბანისძე**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

2-8 სექტემბერი 2015 | № 34 (299)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ახალი ლექსები

### ...თოვს, ცა თეთრად ბოდავს!

...ქარმა სახურავი
არ ახადოს ოდას!..
რას გრიალებს ქარი? —
თოვს, — ცა თეთრად ბოდავს!..
— რაო, ცაო, რაო?
რაო, ცაო, რა... რა?
შენი თეთრი მიწა
დნება წარამარა!..
თოვლს მოვხნავ და... ცაო!
მარტიც მოვა, ვიდრე
მზეს დავთესავ, იქნებ
სითბო ამოვიდეს?!
...თოვს, — ცა თეთრად ბოდავს!..
...თოვს, — ცა თეთრად ბოდავს!.. —
ატრიალებს ქვეყნის
ახალ-ახალ ბორბალს!..
ქარმა
სახურავი
გადახადა ოდას...
ქარი... ქარი ცოდავს!
...თოვს, — ცა თეთრად ბოდავს! —
ბომბავს! ბომბავს! ბომბავს!
მაინც ვერას აკლებს
ქართველების მოდგმას!

●

...რა... განმდგარი! რა, ბრალი?
რა, განმდგარი, რა, ბრალი?
მამით იმერელი ვარ,
დედითა ვარ მარგალი!..
...ო, ქართველი იყო და!.. —
...ოხ, ქარიშხალჩამდგარი???

### ხე ხეს არ ერჩის

ერთმანეთს
ქარმა თუ არ აჯახა,
ხე ხეს არ ერჩის —
იცის... ნაჯახმაც.

### და...ქუხილი... მაინც

ცამ რამდენჯერ იქუხა, —
აქვს იმდენი ბზარი!
...ზოგი შენით არის,
ზოგიც ჩემით არის!
ზოგი — დედა-მზით და...
ზოგიც — მამა-მთვარით!
ლურჯა ფიფქა თოვლის, —
თეთრი ლამაზმანის!..
კუდიანი ვარსკვლავის —
ბოროტის და ავის!
...და... ქუხილი მაინც
ხმაა ღვთიურ ზარის!

### ვარსკვლავების მიტინგზე...

...მზის და მთვარის მინდვრებზე:
ვარსკვლავების მიტინგი!..
...მისტიური ბოდვები!
...მისტიური ბრიფინგი!..
— ვარსკვლავებო! ყველანი
მთვარისა და მზის ირგვლივ...
...ვარსკვლავების მიტინგზე
ღრუბელივით მივფრინდი...
როგორც დედამიწაზე, —
ძოვს ბატკანი მიგვრილი...
..........................................................
ღვთისგან არ უწერია
საქართველოს სიკვდილი!

### დედა, ო, დედა, ო, დედა!..

დედა, ო, დედა, ო, დედა!..
დედა, თოვლში ზის შროშანიც, —
მაისის იასამანო,
შენგან... სიბერე შორს არის!..
...დედა დავითის კაცის ვარ,
ნუ შემომყურებ გნოლივით...
...ცოტაც გამიძელ, დედა, და...
მერე... მე იქით მოგივლი!
დედა, არ ცდები, ზოგ-ზოგს რომ
ხვდები მოქნეულ როზგივით!..

### უმადურს!

...რა ომს... რა ჩხუბს... რა სურვილს,
რა ტკივილებს აცხრობ?
რას მამადლი, თუ იცი,
უმადურო კაცო?!

### დედა

თუმც ყვავილივით ნაზი ხარ,
არ უფრთხილდები თავს...
სუსტი ხარ, მაგრამ შვილისთვის
გვერდზე გადადგამ მთას!..
შენს ლამაზ შავ თმებს ჭაღარის
მკრთალი სხივები რთავს...
საფრენ სივრცეებს მინიშნავ,
ჩუმად მისწორებ ფრთას!
შენ ერთი ხვდები უთქმელად
ჩემს დარდს და გულისთქმას!..

### ჩართეთ, ჩართეთ იშხნელები!

...იშხნელების ეშხიანი
სიმღერები მენატრება...
მათ რომ ვეძებ, თეთნულდივით
სულს სიმაღლე ემატება!..
მათ რომ ვუსმენ, ერთი წვეთი
სხვა წამალი აღარ მინდა!
ჩართეთ, ჩართეთ იშხნელები,
თორემ სული გაღარიბდა...
იშხნელების სიმღერებით
ხალისი მაქვს ველზე გასვლის!..
დღეს... მწერალთა ბაღში მათ ჰანგს
შევაგებე რევერანსი!

●

შორს გავცქერი შარა-გზას,
მზეს ელვარეს, ჩახჩახას,
აკაციის
ყვავილის
სურნელი მცემს ხანდახან.
...გაზაფხული მოსულა,
მაფშალია,
სადა ხარ?



### მეფეთა ცხენების გელვებით

ხმა მესმის ძველ საქართველოის
მეფეთა ცხენების გელვების —
ერეკლეს, დავითის, თამარის
დროინდელ ციხეთა მნგრევლების —
ქაჯეთის ციხეთა მნგრევლების!
ხმა მესმის: მცხეთის ჯვრის, მარტვილის —
დღესაც საქართველოს მცველების!
ხმა მესმის: ცხინვალის, მესხეთის,
სოხუმის მშობლიურ ცრემლების!
...დღეის დღეს — მეც მცველი! — შეგცქერი
სამშობლოვ, შენ შემოგევლები!
ეს ლექსიც! — ძველ საქართველოის
მეფეთა ცხენების გელვებით!

### ჩემს ტურფა საქართველოს!

...ჩემს ტურფა საქართველოს —
ხელისგულისოდენას,
უდგას ბედისტრიალი.
მტერი მღერის „ოდელას“,
...ჩემს ტურფა საქართველოს —
ხელისგულისოდენას,
შინაცა ჰყავს... არ უნდა,
მტერს შორიდან მოდენა!
...ჩემს ტურფა საქართველოს,
ხიფათებში ჩავარდნილს,
ტანჯვა-წამებ-წვალება
სანამ... სანამ... სანამდის?!
— მანამ არ დაბურავენ
ზოგ მამაკაცს თავს მანდილს!!!
— უნდა ჩემს საქართველოს
დიდი გამამაცება!
— რუსთაველის კაცები,
სააკაძის კაცები,
ჭყონდიდელის კაცები!
— აღმაშენებლისთანა!
ცოტნესთანა კაცები,
ქუჯისთანა კაცები!
სულ-სულ-სულ თავკაცებად!
...და ჩემი საქართველო,
მართლაც, არ დამარცხდება!
მისი ჯაჭვის პერანგიც
არასოდეს გაცვდება!
...მისი ეროვნულობაც,
არა და არ ჩაცხრება!

### ვაი, ნანა! — რასაც მწყალობ?

— ეროვნებას მიდევნიან!
რა მოხდება, ნეტავ, ხვალო?!
— რა ქვესკნელში ჩაგიგდიათ,
ამოიღეთ, ხალხო, ხმაო!
...თავს მადგახარ, როგორც — ხანი,
ხანშიშესულს, „წასვლის ხანო“!
ღმერთმა ნუ ქნას, მომხიბლო და...
სამშობლოდან წამიყვანო!
მამაჩვენის სახელები
სანამ, რატომ უნდა მალოთ?!
...მშობელ მამის სახელს ვეძებ,
ვაი, შენი ბრალი — ბრალო!
...ვერ განაგებ საქართველოს,
კარგად ვხედავ, არ ვარ ბრმაო.
...ვიცი შენი ხასიათი,
კარგად, კარგად გაგიცანო!
— ეს, ეს ფაშიზაციაა!
ანტიქართველური ცაო.
— დიდუ,
ამოწყვეტილია,
ვაი, ნანა, რასაც „მწყალობ?!“
„ვიცი, არც ნამდვილად მეტრფი,
არც საკუთრად ჩემთვის გალობ“.

### არ ღირსებოდეთ!

...ო, საქართველოვ, ვინ არის
შენს, შენს უმწიკვლო მშვენებას
უმართებულო ქცევისა
რჩეულ გმირად რომ შეებას?!
თუ, საქართველოვ, ჰგონიხართ
უორთაყვირო ბორანი?
რომ შეუგდიხართ წარღვნაში,
არიან ვინ შავ-ყორანნი?!
ძმებო, წვერმოშვებულებო,
რა უსაშველო დრო არი!
კვლავ ხმალზე ხელის დრო არი!
ვინ იგდებს ხელთ ჩვენს სამშობლოს? —
რინგზე გასული დოლარი!
აი, დოლარის მორალი!
...არ ღირსებოდეთ, რომ მოგვსრან,
ხარობდეს მტერი — ვერანი,
ჩვენს საქართველოს მიწა-წყალს
რომ ერქვას ნაქართველარი!

### მიწაზე რა უნდა ვარსკვლავებს?!

— არ დააბიჯოთ ვარსკვლავს!
მიწაზე რა უნდა ვარსკვლავებს? —
ზეცის ბინადარს როგორ
შებედეთ მიწაზე დასმა?!
...უფლისგან ხელშეუხებელ
ტაბუდადებულ ვარსკვლავს?
ო, მიწამ... მიწამ ვარსკვლავს
თავის დაღი არ დაასვას!
— გეცლიათ, ასი წლის შემდეგ,
სულისთვის ცაში ასვლა!

### ქართველობით განთქმული

— „მი რექ?!“ — ჩვენი მეგრულია.
— „ვინ ხარ?!“ — ჩვენი ქართული,
ორივ ჩვენი სამყაროა,
ქართულ ედემ-ზღაპრული!
— ჩამოხვედით? გვიხარია!
არ ვგრძნობთ დღეს მარტოობას,
გვმართებს გვარ-ტომს ერთმანეთის
მოვლა და პატრონობა!
პოეზიის საღამოა —
გამტყდარ გულებს ვიმთელებთ,
ანთებულმა პოეტებმა
სევდა მოვთელ-მივთელეთ.
...თრთის მწერალთა კავშირი —
ლექსებში ფრთებგაშლილი!
— „მი რექ?!“
— „ვინ ხარ?!“
— ინგილო ხარ,
შემნახველი ქართულის,
ჩვენი ინგილოები ხართ.
ქართველობით განთქმული!

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პრობლემა

**საფრანგეთში გარდაცვლილი ქართველის სამშობლოში გადმოსვენება ვერ ხერხდება – 23 წლის გუგა ქუმსიკაშვილის ოჯახს გადმოსვენების ხარჯები არ აქვს და ამიტომ დახმარება საფრანგეთში საქართველოს საელჩოს სთხოვა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი განმარტავენ, რომ 2013 წლიდან, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აღნიშნულ პროცედურას ვერ უზრუნველყოფს. „ქართული სიტყვა“ დაინტერესდა, თუ როგორ ხდება უცხოეთიდან გარდაცვლილი არალეგალების გადმოსვენება... „წელს საკმაოდ ბევრი გარდაცვლილი იყო... 2-3 თვის წინ, საბერძნეთის საავადმყოფოდან ოჯახს ერთ ქუთაისელ ბიჭს არ ატანდნენ და საელჩო ჩავრიეთ. საბუთები წესრიგში იყო, მაგრამ სხვა დიაგნოზი დაუდგინეს, არადა, სხვა რაღაც ჭირდა... 37 წლის ადამიანი დაღუპეს... 50-მდე ბიჭი შევარდა საავადმყოფოში, მისი ნაცნობები, ყველაფერს დავლეწავთო. პოლიციამაც ამ ბიჭების მხარე დაიკავა და საავადმყოფოს უფროსი გაიპარა... ასე, ნახევრად მკვდარი, სასწრაფოთი ჩამოიყვანეს თბილისში... მაშინ, საქართველოს საელჩომ კარგად იმუშავა, მაგრამ 2 კვირაში ის ბიჭი გარდაიცვალა, — უყვება „ქართულ სიტყვას“ საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ექიმი, — ლეგალურად თუ ცხოვრობს, პრობლემა არაა, მაგრამ არალეგალი რომ იღუპება, საბუთები უნდა გაუკეთონ. ამასთან, ნათესავმა უნდა ამოიცნოს, რომ მართლა ისაა, უნდა დადგინდეს, რით გარდაიცვალა, რადგან მკვლელობაც ხშირია... „ნარკოტიკში გაპარულებიც“ არიან... მოკლედ, სახლაფორთო საქმეა. ავადმყოფებს თვითმფრინავში არ უშვებენ და ელოდებიან, როდის გარდაიცვლება, რომ გადმოასვენონ. ერთმა სიმსივნიან დედას ჩამოაკითხა, გარდაცვალებას დაელოდა, მაგრამ თვითმფრინავში არ აუშვეს და... ცხედარი დიდ ჩანთაში ჩაასვენა, თითქოს ბარგი იყო და ავტობუსით ჩამოიტანა... დედის გვამთან ერთად, ეს 28 წლის ბიჭი საქართველოში მთლად გაჭაღარავებული ჩავიდა. გადმოსვენების ფული არ ჰქონდა და მძღოლებმა გადმოაპარებინეს...“ საქართველოდან საზღვარგარეთ უამრავი ადამიანი მიდის. ზოგი — ლეგალურად, ზოგიც — არალეგალურად. ხშირად საზღვარგარეთ წასულებს ჯანმრთელობის პრობლემები უჩნდებათ და... იღუპებიან. ზოგი, როცა ატყობს, რომ ბოლო დღეებს ითვლის, ცდილობს, საკუთარ მიწაზე დაბრუნდეს... რა პროცედურაა საჭირო დაღუპული არალეგალის საქართველოში ჩამოსასვენებლად, რატომ იმარხებიან ჩვენი არალეგალები უცხოეთში და რა როლი აქვს ყველაფერ ამაში საელჩოებსა თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს? „ქართული სიტყვა“ პოლონეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ეკა ლოლაძეს ესაუბრა:**

# „ცხედარი დიდ ჩანთაში ჩაასვენა, თითქოს ბარგი იყო...“



## რა ჯდება და ევალება თუ არა სახელმწიფოს უცხოეთიდან არალეგალის გადმოსვენება — ინტერვიუ პოლონეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ეკა ლოლაძესთან

– 24 წელია, პოლონეთში ვცხოვრობ. არალეგალის გარდაცვალებასთან შეხება პირველად 18 წლის წინ მქონდა — გარდაცვლილს არავინ ჰყავდა და, შესაბამისად, არც პატრონი გამოუჩნდა. ვინაიდან სხვა სახელითა და გვარით იყო ჩაბარებული, მისი ვინაობის დადგენა ვერ მოვახერხეთ და გარდაცვლილის პოლონეთში დამარხვა მოგვიხდა.

**— ასეთ შემთხვევაში, ხარჯებს ვინ იღებს?**

— ფული ჩვენ, ქართველებმა შევაგროვეთ. ის ადამიანი, ალბათ, 2 თვე იყო მორგში, დაგვირეკეს და გვითხრეს, ან მიხედეთ, ან „პროსტინაში“ გავახვევთ და, როგორც ხდება, სადღაც ჩავაგდებთო... პოლონეთი იმდენად მდიდარი ქვეყანა არაა, რომ ვინმეს ზედ გადაყვეს და ფული უხადოს, მით უმეტეს, 18 წლის წინ...

**— ამ დროს საელჩოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს რა ფუნქცია აქვთ?**

— მაშინ პოლონეთში საქართველოს საელჩო არც იყო...

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, საქართველოს საელჩო გვეხმარება...

39 წლის ბიჭი დაიღუპა, როგორც იტყვიან, „კაიფში გაიპარა“. ცოლი ესპანეთში ჰყავდა და თვითონ პოლონეთში ცხოვრობდა. მორგში გადაასვენეს და პატრონს ელოდებოდნენ. საელჩო დოკუმენტაციის მოგვარებაში გვეხმარება და პრობლემას ნამდვილად არ გვიქმნის, მაგრამ ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული. პოლონეთიდან საქართველოში ადამიანის გადმოსვენება, დაახლოებით, 4 500 ევრო ჯდება.

**— თანხის გაღების ვალდებულება არავის აქვს?**

— არა... როცა ოჯახს საშუალება აქვს, პრობლემა არაა, შემიძლია, 3-4 დღეში ყველაფერი გავუკეთო — ადგილობრივი დამკრძალავი ბიურო, მორგიდან დაწყებული, ყველაფერს აგვარებს. თუკი ვინმეს მიცვალებულისთვის პარაკლისის გადახდა, ან მასთან დამშვიდობება უნდა, ესეც შესაძლებელია, ოღონდ ფინანსებია საჭირო. სინამდვილეში, ერთადერთი პრობლემა ფინანსებია. ამიტომ, ასეთ დროს ფულს ქართველები ვაგროვებთ, მაგრამ რამდენი უნდა შევაგროვოთ?

**— ცხედარი რითი მოაქვთ?**

— თვითმფრინავით... ამ ხარჯებს საქართველოს საელჩო, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ვერ იღებს. არალეგალს კი, ფული, რასაკვირველია, არ აქვს, მით უმეტეს, პოლონეთში არალეგალების ის კატეგორია უფრო მეტია, რომელიც „წამალზეა შემჯდარი“, ან ტრანზიტულადაა ჩამოსული.

2 წლის წინ, როცა ქართველი ფიზიკოსი, პოლიტიკოსი ვიქტორ დომუხოვსკი გარდაიცვალა, რამდენიმე საათის განმავლობაში, ვიდრე თანხის ამბავი გაირკვეოდა, სასწრაფოს მანქანაში ესვენა — საავადმყოფო არ იღებდა, რადგან უკვე გარდაცვლილი იყო. მორგში კი, იმიტომ არ „მიიღეს“, რომ არ იცოდნენ, ხარჯებს ვინ დაფარავდა. ასე რომ, დაახლოებით, 7 საათის განმავლობაში, ვიდრე ოჯახმა ჩვენ არ გაგვაგებინა, არ ჩავერიეთ და საელჩომ ხარჯები თავის თავზე არ აიღო, ცხედარი სასწრაფოს მანქანაში ესვენა.

**— დაღუპული არალეგალის სამშობლოში გადმოსასვენებლად ამდენი ფული რა საჭიროა?**

— საელჩოში განაცხადი უნდა შევიდეს და დაადასტუროს, რომ ეს პიროვნება საქართველოს მოქალაქეა. ასევე, საჭიროა, გარდაცვლილის ნათესავის ნებართვა, რომ მიცვალებული გადმოასვენონ. განაცხადი უნდა გაკეთდეს დამკრძალავ ბიუროშიც, რომელსაც აეროპორტებთან ოფიციალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. საქართველოში არის საბაჟო მომსახურება, რომელსაც „კარგო“ ჰქვია და სწორედ იქ ასვენებენ ცხედრებს.

**— ასე ვთქვათ, გაპრობლემებული შემთხვევა ბევრია?**

— იყო ასეთიც... პოლონეთში, შვილთან ერთად, „ჩაბარებული“ ასაკიანი ქალი იყო, რომელსაც მოუვიდა დოკუმენტი, რომ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭეს, თუმცა ვერ წაიკითხა, რა ეწერა და სხვას სთხოვა, წამიკითხეო. მანაც, თავის მხრივ, რადგან ენა არ იცოდა და ვერ გაიგო, უთხრა, უარი მოგივიდაო. ამ ქალს გული გაუსკდა და გარდაიცვალა... მის შვილს არც საბუთი ჰქონდა და არც — კარგი ფინანსური მდგომარეობა. საელჩოს თხოვნებით მივმართეთ, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა და სიტუაცია აუხსნა... გარდაცვლილის შვილს ბავშვებიც ჰყავდა და უნდოდა, დედა ჩამოესვენებინა და თავად დაბრუნებულიყო, მაგრამ ველარ დაბრუნდებოდა, რადგან ისიც ლტოლვილთა ბანაკში იყო ჩაბარებული და პასუხს ელოდა. მოკლედ, შვილიც რომ წამოსულიყო, საბუთები გაუფუჭდებოდა, ამიტომ საელჩომ მიმართა პოლონეთის მხარეს, საბუთების საქმე დროებით შეეჩერებინა და ამ ადამიანისთვის საქართველოში წამოსვლის, შემდეგ კი, უკან დაბრუნების ნება მიეცა. იქ დაბადებულ ბავშვებს უკან დასაბრუნებული მოწმობები უპრობლემოდ გაუკეთეს, მაგრამ უკვე ფინანსური პრობლემა შეიქმნა... შვილმა თქვა, გადასვენების ფული არ მაქვსო. პოლონეთის მხარე, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებდა, ამიტომ 2 თვის განმავლობაში, მიცვალებული მორგში იყო. შვილი გვირეკავდა, მლანძლავდა, ვეუბნებოდი, რატომ მლანძლავთ, ფული არც ჩვენ გვაქვს-მეთქი. საქართველოს საელჩოში მივარდა, დროშა ჩამოხია...

ყოფილა შემთხვევა, როცა ფული ელჩსა და კონსულსაც დაუდვიათ... მოკლედ, თუ ფინანსები არის, გადმოსვენება პრობლემა არაა.

**— ვთქვათ, ადამიანი სიკვდილის პირასაა და უნდა, სამშობლოში დაბრუნება მოასწროს, ამ დროს რა ხდება?**

— ჩემს მაგალითზე გეტყვით: დედაჩემს კიბო ჰქონდა და... საქართველოში ჩამოვიყვანეთ, მაგრამ ქიმიოთერაპიის ჩატარების შემდეგ, როგორც კი გამოკეთდა, ისევ პოლონეთში წავედით. იქ გაირკვა, რომ საქმე დაავადების რთულ სტადიასთან გვქონდა. დედა საქართველოში უნდა წამოგვეყვანა... ექიმებმა თქვეს, ვერტმფრენით თუ გადააფრენთ, თორემ თვითმფრინავით ძნელი იქნებაო, მაგრამ იმხელა თანხაზე იყო ლაპარაკი, ვუთხარით, მაგის საშუალება არ გვაქვს და ჩვენ მივხედავთო...

აეროპორტში რომ მივედით, დედა ეტლში იჯდა... გვითხრეს, რეგისტრაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავატარებთ, თუ მფრინავები დაგვეთანხმებიანო. ეკიპაჟის წევრებს კი, დედაჩემის წამოყვანა არ უნდოდათ.

**— რატომ?**

— ცუდად არის, შეიძლება, დაიღუპოსო და საკუთარ თავზე არ იღებდნენ... ეს ხომ თვითმფრინავში აჟიოტაჟს და მგზავრების დისკომფორტს გამოიწვევდა?! მომზადებულები ვიყავით წამლებით, ჟანგბადის ბალიშებით, ექიმიც მოგვყვებოდა, მაგრამ ამის ასახსნელად და დასათანხმებლად საათნახევარი დაგვჭირდა.

**„ქართული სიტყვა“ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, მარი ნარჩემაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ გარდაცვლილი, ან მისი ოჯახის წევრები სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან, მაშინ, კანონმდებლობით, სახელმწიფო გადმოსვენებას საკუთარ თავზე იღებს. სხვა შემთხვევაში, ეს საკითხი მთავრობის მიერ ინდივიდუალურად განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება. ყოფილა შემთხვევა, როცა სახელმწიფო, კანონმდებლობით, ვალდებული არაა, მაგრამ განხილვის შემდეგ, გარდაცვლილის ჩამოსვენების ხარჯები მაინც თავად გაუწევია და ოჯახს დახმარებია. ამის ერთ-ერთ მაგალითად მარი ნარჩემაშვილმა დაღუპული მეომრების ჩამოსვენება მოიტანა.**

**ბექა ლიბრაძე**

„პოლონეთში, შვილთან ერთად, „ჩაბარებული“ ასაკიანი ქალი იყო, რომელსაც მოუვიდა დოკუმენტი, რომ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭეს, თუმცა ვერ წაიკითხა, რა ეწერა და სხვას სთხოვა, წამიკითხეო. მანაც, თავის მხრივ, რადგან ენა არ იცოდა და ვერ გაიგო, უთხრა, უარი მოგივიდაო. ამ ქალს გული გაუსკდა და გარდაიცვალა... მის შვილს არც საბუთი ჰქონდა და არც — კარგი ფინანსური მდგომარეობა. საელჩოს თხოვნებით მივმართეთ, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა და სიტუაცია აუხსნა... გარდაცვლილის შვილს ბავშვებიც ჰყავდა და უნდოდა, დედა ჩამოესვენებინა და თავად დაბრუნებულიყო, მაგრამ ველარ დაბრუნდებოდა, რადგან ისიც ლტოლვილთა ბანაკში იყო ჩაბარებული და პასუხს ელოდა... საელჩომ მიმართა პოლონეთის მხარეს, საბუთების საქმე დროებით შეეჩერებინა და ამ ადამიანისთვის საქართველოში წამოსვლის, შემდეგ კი, უკან დაბრუნების ნება მიეცა. იქ დაბადებულ ბავშვებს უკან დასაბრუნებული მოწმობები უპრობლემოდ გაუკეთეს, მაგრამ უკვე ფინანსური პრობლემა შეიქმნა... შვილმა თქვა, გადასვენების ფული არ მაქვსო და... 2 თვის განმავლობაში, მიცვალებული მორგში იყო. შვილი გვირეკავდა, მლანძლავდა, ვეუბნებოდი, რატომ მლანძლავთ, ფული არც ჩვენ გვაქვს-მეთქი. საქართველოს საელჩოში მივარდა, დროშა ჩამოხია...“

საზოგადოება

# ინგა გრიგოლია: „მეცოდებით, პატარა ადამიანებო!“

**ერთი თვის წინ, თბილისის მერიის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ინატრა, ნეტავ, „რეაქცია“ ახალ სეზონამდე კი არა, საერთოდ დაგვემშვიდობოსო. მართალია, საქართველო აშშ არაა, მაგრამ როგორც ჩანს, ოცნებები, მით უმეტეს, თუკი თანამდებობის პირი ოცნებობს, ხდება და თან ძალიან მალე – ინგა გრიგოლიას „რეაქცია“ და „იმედის კვირა“ დაიხურა. ხელმძღვანელობის განმარტებით, ტელეკომპანია ამ ეტაპზე, ანუ 2016 წლამდე პოლიტიკურ თოქ-შოუებზე უარს ამბობს. „იმედი“ კერძო საკუთრებაა და თავისი გადაწყვეტილების გამო პასუხს ვერავინ მოსთხოვს, მაგრამ აქ არსებობს ერთი „მაგრამ“: ქვეყნის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია. რუსული საფრთხე, ტრადიციულად აქტუალურია, შესაბამისად, მედია, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს, კონცენტრირებული სწორედ ზემოხსენებულ პრობლემაზე უნდა იყოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკის მამოძრავებელი ღერძი სწორედ საგარეო საფრთხეა და ამ ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვის ნიშანი, თუ რატომ ხურავს თუნდაც კერძო ტელეკომპანია მაღალრეიტინგულ პოლიტიკურ თოქ-შოუებს, რომლებიც, როგორც დახურული გადაცემების პროდიუსერები ამბობენ, ფინანსურადაც მომგებიანი იყო?**

**მოკლედ, რატომ არაა ოკუპირებულ ქვეყანაში პოლიტიკური თოქ-შოუები საჭირო და აქტუალური? – ამ შეკითხვას, „ქართული სიტყვის“ მსგავსად, ალბათ, ჩვენი დასავლელი მოკავშირეებიც დასვამენ. მანამდე კი, „ქართული სიტყვა“ ბოლო დროს მედიაში განვითარებულ მოვლენებზე ცნობილი ადამიანების „ფეისბუქითა“ თუ მედიის სხვადასხვა საშუალებით გავრცელებულ მოსაზრებებს, როგორც იტყვიან, კომენტარის გარეშე გთავაზობთ.**

## ოკუპირებულ ქვეყანაში პოლიტიკური თოქ-შოუები საჭირო და აქტუალური არ ყოფილა?! – რატომ?

**ინგა გრიგოლია, ჟურნალისტი:** „გუშინ ძალიან დაღლილი ვიყავი და შესაბამისად, ვერ დავჯექი სტატუსის დასაწერად... ძალიან მოკლედ მინდა მოგახსენოთ ჩემი პოზიცია გადაცემების დახურვასთან დაკავშირებით:

დავიწყებ იმით, რომ ,,იმედი“ არის კერძო ტელევიზია და არხს აქვს სრული უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელი გადაცემა სჭირდება და რომელი – არა. ამიტომ, როგორც ჩვენში იტყვიან, გაგებით ვეკიდები მათ გადაწყვეტილებას, რომელიც ვითომ მათ მიიღეს და ვითომ სულაც არ იყო პოლიტიკური...

მე მაქვს სრული უფლება, ვიფიქრო, რომ ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება და აი, რატომ:

არც ერთი კერძო ტელევიზია არ ხურავს გადაცემას, რომელსაც დიდი სარეკლამო შემოსავალი და ძალიან მაღალი ყურებადობა აქვს, მით უფრო, არ ხურავს ორ გადაცემას ერთდროულად, რომელსაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს – ეს ტელევიზიის წესია... ამიტომ ვფიქრობ, რომ ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ არ ვყოფილიყავი ეკრანზე არჩევნების წინ...

ვერ დავიჯერებ, რომ ეს გადაწყვეტილება თავში ტელევიზიის მენეჯმენტს მოუვიდა, რომელიც ყოველი გადაცემის მერე აღფრთოვანებული იყო გადაცემის ყურებადობით...

ვფიქრობ, რომ ,,იმედმა“ შეასრულა პოლიტიკური დავალება და თან შეასრულა ძალიან ცუდი ფორმით – ერთ დღეს დახურა ორი თოქ-შოუ, რომელიც მე მიმყავდა.... რომ გითხრათ, დიდად მეწყინა-თქო, მოგატყუებთ, რადგან გადაცემების დახურვას შეჩვეული ვარ... ვნერვიულობ იმ გუნდზე და ადამიანებზე, ვინც იმის გამო, რომ ინგა გრიგოლია მოაშორონ ეკრანს, შესაძლოა, უმუშევრები დარჩნენ და ამიტომ, მე პირადად, ვესაუბრე ტელევიზიის დირექტორს ამ თემაზე, რომ თუ სხვა გადაცემებს გააკეთებენ ძველის ნაცვლად, ეს ჩემი არაჩვეულებრივი თანამშრომლები იქ დატოვონ, თავის პროდიუსერებიან-ჟურნალისტებიან, ოპერატორებიანად, რადგან ყველაზე მაგარი პროფესიონალები არიან... და ამ ჩემს მეგობართა გუნდსაც გულით ვთხოვე, დარჩნენ და აკეთონ თავისი საქმე...

კიდევ ერთი: გასაოცარი ისაა, რომ წინასწარ არც ერთი ფრაზით, არც ერთი შეტყობინებით არავის უთქვამს, რომ გადაცემებს მიხურავდნენ, რამაც გამოიწვია ჩემი გაოგნება... ჩამოვფრინდი ამერიკიდან 28-ში, სადაც დიდი შემართებით ვსაუბრობდი ჩემი გადაცემების უკიდეგანო თავისუფლებაზე და 29-ში, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, დამიხურეს გადაცემები... რა თქმა უნდა, ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება... რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს ჩემს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები მმართველი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლისგან და, რა თქმა უნდა, მჯერა, რომ დაავალეს ჩემი დახურვა და ,,იმედმაც“ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება...

ასეთი ამბები ხდებოდა ყველა ხელისუფლების დროს ჩემს თავს და ასე მოხდა დღესაც... ესეც გაივლის.

წარმატებებს გისურვებთ ყველას...

რამდენი მინახავს მოსული და წასული ხელისუფალი, რომელიც მედიაპროექტებს ხურავდა... კიდევ რამდენს ვნახავ...

პ.ს. ბოლოს, ერთი სენტიმენტალური ჩანართი: ამ ამბავმა დამანახა ნამდვილი მეგობრები, ნამდვილი მტრები და შეფარული მტრები, რომლებიც აქამდე მეგობრები მეგონენ... მადლობა ყველას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის... გამხნევებისთვის... თქვენმა თანადგომამ ძალიან გამაძლიერა...“

**მოგვიანებით, ინგა გრიგოლიამ „ფეისბუქზე“ კიდევ ერთი სტატუსი დაწერა:**

„საინფორმაციოებს ჩავუჯექი... გადავახვიე-გადმოვახვიე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რა საყვარლები და გულიანები არიან ადამიანები და, ამავე დროს, სამწუხაროდ, ცუდებიც და გამაოგნებლად სასაცილოებიც... საბედნიეროდ, ამ უკანასკნელთა რიცხვი, რა კარგია, რომ მცირეა... დიდზე დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის და, ალბათ, იმით თუ გადაგიხდით, რომ როცა ახალ პროექტს დავიწყებ, კიდევ უფრო საინტერესო გავაკეთო, რომ უფრო მეტად თქვენი ინტერესები ისმოდეს და უფრო ნაკლებად – პოლიტიკოსების... მიყვარხართ ყველა გულით, ჩემო კარგებო, და მეცოდებით, პატარა ადამიანებო... ცხოვრება გრძელდება და ესეც გაივლის... მიჩვეული ვარ... არახალია... არავისგან არაფერი მწყინს... სამაგიეროდ, ძალიან მიხარია, რომ ამდენი კეთილი ადამიანი დამიდგა გვერდით...“

**თინათინ მჟავანაძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი:** ,,პოლიტიკურად აქტიური და ინფორმირებული საზოგადოება სახელმწიფოს დემოკრატიულობის საფუძველია. ქართული საზოგადოება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გზაზე ყოველთვის გამოირჩეოდა პოლიტიკური პასუხისმგებლობით. სწორედ ამ საზოგადოების მონაპოვარია თავისუფალი მედია, რომლის მიმართაც ჩვენი მოქალაქეები განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან. დემოკრატიის განმტკიცება თავისუფალი და კონკურენტუნარიანი მედიის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, შემაშფოთებელია ის ტენდენცია, როცა მედიაში მიმდინარე პროცესები კითხვებს ბადებს, მით უფრო ახალი პოლიტიკური სეზონის დაწყებისა და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ. საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ქვეყანაში დემოკრატიისა და კონსტიტუციის გარანტი, ყურადღებით ადევნებს თვალყურს მედიაში მიმდინარე პროცესებს და საზოგადოებასთან ერთად დაიცავს მედიის კონსტიტუციურ თავისუფლებას“.

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:** ,,მინდა, ვისურვო, რომ ყველა ტელეკომპანიამ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი პოლიტიკა, არ ჰკითხოს არავის, როცა რაიმე თოქ-შოუს ხსნის და არ ჰკითხოს არავის, როდესაც რაიმე თოქ-შოუს ხურავს... არ მიიღოს არანაირი რჩევები და რეკომენდაციები, რომელი ჟურნალისტი აიყვანოს სამსახურში, ან რომელ ჟურნალისტთან გაწყვიტოს კონტრაქტი.

როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ თოქ-შოუებს, მათი გახსნა, მათი მოდიფიცირება და მათი დახურვაც მყისიერად იძენს ხოლმე გარკვეულ პოლიტიკურ ელფერს და ვისურვებდი, რომ ყველა ამ საკითხში ყველამ შეიტანოს სათანადო სიცხადე, ვისაუბროთ ფაქტებით, არგუმენტებით და გავაგრძელოთ ცხოვრება...



ვთვლი, წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა ტელეარხმა არათუ შეამციროს პოლიტიკურ საკითხებზე დებატების დრო, არამედ, გაზარდოს, მაგრამ ვისი მეშვეობით გაკეთდება, რა ფორმატით, რა სტილის გადაცემებით, ამის თაობაზე, ცხადია, თავად ტელეკომპანიები უნდა ჩამოყალიბდნენ“.

**დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკელებისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:** ,,ახალი საინფორმაციო-პოლიტიკური სეზონის წინ ორი წამყვანი და პოპულარული გადაცემის დახურვა, არის მოულოდნელი. გაკვირვებული ვარ. რა თქმა უნდა, დამაჯერებელი არ არის ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის პასუხი და საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს მიზეზი, იმის მიუხედავად, რომ ,,იმედი“ კერძო მფლობელობაშია. საერთოდ, მაინტერესებს, როგორი იქნება ამ ამბავზე მფლობელების პოზიცია, როდესაც დაქირავებული მენეჯერები საუბრობენ მფლობელების ნაცვლად, არის ღიმილის მომგვრელი. ილაპარაკონ მფლობელებმა ,,რუსთავი 2“-ზეც და ,,იმედზეც“.

**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი:** ,,მედიას კიდევ ერთხელ გადაუარეს. სირცხვილი ამ საზოგადოებას, ამ ქვეყანას, ამ პოლიტიკურ სპექტრს. უპერსპექტივო ქვეყანა!

...ხელისუფლება, საკუთარი დეპუტატები რომ გააჩერო, არა?! უკვე საჯაროდ რომ აღიარებენ, ,,იმედის“ გადაცემები ჩვენს გემოვნებას არ შეესაბამებოდა და ლოგიკურია, რომ დაიხურაო? ამ გამონათქვამებს მისხალ-მისხალ რომ დაუდებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ესეც აღარ განაღვლებთ?! უკვე დეპოში ხართ?!

**ირაკლი ტაბლიაშვილი, ჟურნალისტი:** ,,ხელისუფლების ცალკეული პირები დაიღალნენ თავის მართლების რეჟიმში ყოფნით. დებატს, რომელშიც ისინი მეტწილად მარცხდებიან, უჯობთ, საერთოდ არ იყოს ეს დებატი, ან თუ იქნება, წამყვანი მაინც იყოს არაკრიტიკული... სუსტი.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე, როგორც პირს, რომელიც პროფესიულ ჭრილში აფასებს ამა თუ იმ მედია პროდუქტს, პრაქტიკულად არასოდეს მომწონდა არც ,,იმედის კვირა“ და არც – ,,რეაქცია“... რადგან არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მიმაჩნდა, რომ ამ ვითარებაში სატელევიზიო პროდუქტი უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ რეიტინგზე, პირიქით, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ მედია უნდა ყოფილიყო საზოგადოების პარტნიორი, თუნდაც ამის გამო შეეწირა რეიტინგის მნიშვნელოვანი ნაწილიც კი. ამის გამო პროფესიული კამათიც არაერთხელ მომსვლია იმავე ,,იმედის“ ცნობილ სახეებთან. ჩემი არგუმენტები მქონია და, სიმართლე გითხრათ, მათაც ჰქონიათ საკუთარი არგუმენტები, ვაღიარებ – რთულია ოქროს შუალედის პოვნა და სულაც არ მიკვირს, რომ ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს, მათ შორის, კამათისას. მოცემულ ვითარებაში ამ ე.წ. არხის რეორგანიზაციის არგუმენტით რეპრესიული მანქანის ამოქმედება არის დაუშვებელი და მიუღებელი.

რამდენიც უნდა ვიკამათო ინგა გრიგოლიასთან პროფესიულ სტანდარტებსა და ზოგადად, ჟურნალისტიკაზე, ყოველთვის აღვნიშნავ, რომ მისი, მაგალითად, ავღანეთიდან რეპორტაჟი იყო და არის საუკეთესო რეპორტაჟთა, ვთქვათ ასე – ტოპათეულში და ამის უგულებელყოფა არ შეიძლება.

მოდი, დავსვათ შემდეგი შეკითხვები: რა არის ,,რეაქციის“ და სხვა პროდუქტების დახურვის მოტივაცია? ხომ არავის სჯერა, რომ ახალი პროდუქტები, ახალი წამყვანებით 2016 წლიდან, იქნება უფრო კვალიფიციური, უფრო კრიტიკული და სტანდარტების სრული დაცვით მომზადებული? ხომ ამთავითვე ცხადია, რომ ,,იმედის“ სამომავლო პროდუქტები, იმჟამად ახალი წამყვანებით, იქნება სრულიად პრორუსული და დაუბალანსებელი... იმგვარი კონტექსტის, როგორი კონტექსტის შექმნაც მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს“.

**ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი:** ,,ძალიან მეწყინა ეს გადაწყვეტილება. მედია ხელისუფლების სარკეა. სარკეს მაშინ ფარავენ, როცა სახლში მიცვალებული უსვენიათ. რა ხდება დანიის სამეფოში? როგორც შექსპირი იტყოდა, რაღაც დალპა...

ინგა გრიგოლია, ვინ თუ არა შენ კარგად იცი, რომ მედიის დათრგუნვას სიკეთე არავისთვის მოუტანია. მიმაჩნია, რომ შენი შეუპოვრობისთვის დიდი მადლობა გეკუთვნის მაყურებლებისა და კოლეგებისგან...

რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების რეალურ მიმღებს, მას თუ ვინმე გულშემატკივარი კიდევ დარჩა, მათ შორის, მედიამფლობელი, ამ მოთხოვნას კი არ უნდა დაემორჩილოს, არამედ, არ უნდა მისცეს ჩვენი ქვეყნის ავტორიტარული მმართველობის უფსკრულში გადაჩეხვისა და ხალხის მიერ ამდენი მსხვერპლის და შრომის ფასად მოპოვებული საერთო გამარჯვების გაცამტვერების უფლება...“

**ნიკა რაჭველი, მუსიკოსი:** ,,მოულოდნელად ქუჩაში ინგა შემხვდა, სულ ორი დღეა, რაც უცაბედად გადაცემა დაუხურეს ,,იმედზე“. ვისაუბრეთ. გული გადავუშალეთ ერთმანეთს და მოვესიყვარულეთ. ბევრი მნიშვნელოვანი გადაცემა მახსოვს მისი, მაგრამ ,,რეაქცია“ ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან ეთერში გასვლის პირველივე დღიდან ამ გადაცემას ჩემი დაწერილი მუსიკა აფორმებდა. ,,რეაქციამ“ ტაიმ-აუტი ერთ ხანსაც აიღო და ახლაც იმედი მაქვს, ოდესმე ისევ ავჟღერდებით. ჩვენ მოულოდნელობებით სავსე ქვეყანაში ვცხოვრობთ და ხშირად მოულოდნელობის უკან არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილებებია, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნიჭიერებას ვინც შეებრძოლება, ადრე თუ გვიან, დამარცხდება, ნიჭი კი, ღვთის წყალობით, მუდამ გაიკვალავს გზას! მე მიყვარს ჩემი მეგობარი ინგა გრიგოლია!“

**ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:**

არაფერი არ მიკვირს,
ჩვენს მტერს მიწა შესძვრია,
რა ვქნათ, საქართველოში
სულ პირველებს ებრძვიან!

**თაკო ჩარკვიანი, პუბლიცისტი:** ,,ინგა გრიგოლია – აი, კიდევ დასტური იმისა, რომ ძალიან მაგარი ხარ! შენთან ვარ! თავმოყვარე ტელემედიას, წართმეული ტერიტორიები ქვეყანაში, თუ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება არაა, წესით, არაერთი პოლიტიკური თოქ-შოუ უნდა სჭირდებოდეს, მით უმეტე, ისეთი პროფესიონალისგან, როგორიც ინგა გრიგოლიაა!“

**ვანო პავლიაშვილი:** ,,ინგა, რითი ვერ გაიგეს, რომ შენი გადაცემების დახურვა ცუდად მთავრდება ხოლმე? რაც უნდა იყოს, შენ ხომ იცი, რომ სუპერპროფესიონალი ხარ!“

№ 35 (299)
2-8 სექტემბერი 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ხელოვანის ტრიბუნა

# „თუ ოჯახის რჩენა გინდა, ან პოლიტიკოსს უნდა „შეეტენო“, ან ცნობილ ადამიანს „შეეკვეხო“, ან მღვდელი გახდე!“



## კარიკატურისტ ბესიკ დუღაშვილის პოლიტიკური გზავნილები

**კარიკატურა სიმართლის თქმისა და გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. შეიძლება, ერთ კარიკატურაში ეპოქა, ან მოვლენა ისე ჩაატიო, რომ დამატებითი შეკითხვები აღარავის გაუჩნდეს. კარიკატურით საზოგადოებამდე ძალიან მკაფიო მესიჯები განსაკუთრებით ცივი ომის დროს მიჰქონდათ. საქართველოში ეს სფერო არცთუ განვითარებულია, თუმცა ჩვენთანაც არიან სახელოვანი კარიკატურისტები, მათ შორის ბესიკ დუღაშვილი:**

— კარიკატურა არსებული რეალობის გამოხატვის საშუალებაა. სხვათა შორის, საქართველოში მასხარას მხოლოდ გამრთობის ფუნქცია არ ჰქონია — ის ერთადერთი იყო, ვინც სიმართლეს, რა თქმა უნდა, შეფარვით ამბობდა. დღეს კარიკატურასაც ანალოგიური ფუნქცია უნდა ჰქონდეს. საერთოდ, ხელოვნების სფერო სიმართლის თქმის საშუალება უნდა იყოს, თუმცა კარგ მთქმელს, კარგი გამგონეც უნდა... საზოგადოება ჩემს მესიჯებს იგებს, თუმცა იმავეს მთავრობაზე ვერ ვიტყვი.

**— ბატონო ბესო, კარიკატურით ხალხს მაინც, რა გზავნილებს აწვდით?**

— ადამიანები პოლიტიკაში იმიტომ მიდიან, რომ თავი კარგად ირჩინონ, ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე კი, ნაკლებად ფიქრობენ. პირობითად ვიტყვი, რადიკალი მემარცხენეები უეცრად მემარჯვენეთა ბანაკში აღმოჩნდებიან, რადგან მემარჯვენე პარტიას არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვს, შემდეგ, ეს ადამიანები თავს პარლამენტში ამოყოფენ, მშვენიერ ხელფასს იღებენ და ცხოვრება აწყობილი აქვთ.

**— ამას საზოგადოება ვერ ამჩნევს?**

— საზოგადოება ყველაფერს კარგად ხედავს, უბრალოდ, პოლიტიკოსები სოციუმის აზრს არ იზიარებენ.

**— რომელი პოლიტიკოსის კარიკატურა დაგიხატავთ?**

— მაგალითად, ადრე ბიძინა ივანიშვილის კარიკატურა დავხატე. მას სახასიათო თვალები და შუბლი აქვს... როცა პირველად გამოჩნდა, დოლარების ფონზე დავხატე. ახლა კი, მსახიობის როლში დავხატავდი, რომელსაც მარიონეტები უჭირავს და მართავს.

**— მარიონეტების როლში ვინ იქნებოდნენ?**

— ყველა, ვინც ახლა მის გარშემოა. 30 წლის განმავლობაში გამოჩნდა, რომ ხელისუფლება მკაცრი უნდა იყოს და სადავეებიც კარგად ეჭიროს, რადგან თუ გაიწია, საზოგადოების დაკავება რთულია.

**— ხელისუფლების დამქირავებელი საზოგადოებაა...**

— თუ თანამდებობაზე მოხვედრა გსურს, ვიღაცის ნათესავი უნდა იყო. სამსახურის შესანარჩუნებლად, ან მოსაპოვებლად კი, გაჩუმება და პრინციპებზე უარის თქმა გიწევს. ხმას ვერც შენს გარშემო მყოფები ამოიღებენ, პრობლემა რომ არ შეგექმნას.

**— დეპუტატობა რომ შემოგთავაზონ, დასთანხმდებით?**

— დიახ, დავთანხმდებოდი, მაგრამ ყველაფერს ამოვატრიალებდი და სიმართლეს ვიტყოდი. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, ვიდრე ხელისუფლებაში მე არ მოვალ, მანამ არაფერი გვეშველება-მეთქი. მაინცდამაინც ხელისუფლებაში მოსვლა კი არ მსურს, უბრალოდ, პოლიტიკოსებს არ ვენდობი. მოდის ახალი სამთავრობო გუნდი, ძველ პროფესიონალებს შინ უშვებს და ის ხალხი მოჰყავს, რომელიც აზრზე არაა, თუმცა დამსაქმებელს, გასაჭირის დროს, არ უღალატებს.

**— ხელისუფალმა ცენზურა რომ დაგიწესოთ, რას იზამთ?**

— მე კანონის დიქტატზე ვლაპარაკობ — ყველაფრის განმსაზღვრელი კანონი უნდა იყოს. კანონის უზენაესობა მაშინ იქნება, როცა მამა ინსპექტორია და შვილს, დარღვევის გამო, ჯარიმას გამოუწერს. არ მსიამოვნებს, როცა მაჯარიმებენ, მაგრამ პროტესტის გრძნობა მხოლოდ უსამართლობისას უნდა გაგიჩნდეს... „ნაცმოძრაობამ“, ბოლოს და ბოლოს, ღვედის შეკვრას შეგვაგუა... უბრალოდ, თუ „ნაცმოძრაობასთან“ გაიგივებული არ იყავი, სამსახურს ვერ იშოვიდი, რაღაცას ვერ შექმნიდი და ყოველთვის დაჩაგრული იქნებოდი. ახლაც იგივე გრძელდება — ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: თუ „ქართულ ოცნებასთან“ არ ხარ, იჩაგრები... უმუშევარი ვარ, შეკვეთების იმედად დავრჩი და ერთ გაზეთთან ვთანამშრომლობ. არადა, ბევრი რამის სპეციალისტი ვარ და ვგრძნობ, რომ შემიძლია, ქვეყანას გამოვადგე. იქ, სადაც მისი ადგილი არაა, ბევრი არაკომპეტენტური ხალხი იყრის...

**— ჩვენი საზოგადოება მოგწონთ?**

— არა, საზოგადოება თავის სიმაღლეზე რომ იყოს, ბევრი მანკიერება არ იქნებოდა.

**— ისე, ყველა ფიქრობს, რომ საქმეს კარგად გააკეთებს და ქვეყანას გამოადგება...**

— კი, ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ საქმეს აკეთებენ?.. 90-იანებიდან მოყოლებული, ყველას ჰგონია, რომ რაღაცას აკეთებს, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ. დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა, კომიტეტის სხდომაზე, „ნაციონალებს“ ხმა ჩააგდებინა. ინგა გრიგოლიას, ვიდრე გადაცემას დაუხურავდნენ, მივწერე, თუ გინდა, სტუდიაში ამინდი შექმნა, ეგ კაცი მიიყვანე-მეთქი. მე კი მინდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ არ მიგზავნისო. გამიკვირდა... აი, ასეთ ლაბირინთში ვტრიალებთ. ინგას ისიც მივწერე, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტი არ ვარ, ხადურთან დებატებში დამსვი და ათ წუთში დავამტკიცებ, რას წარმოადგენს-მეთქი. ხადური „ქართული ოცნების“ და საქართველოს სირცხვილია!



**— თუ ყველაფერს ერთი ადამიანი წყვეტს და დანარჩენები მარიონეტები არიან, ხადურის, ან სხვის კომპეტენციას რა აზრი აქვს?**

— ამ კაცმა დანარჩენებს შანსი მისცა, რომ ქვეყანას მოემსახურონ. ამ შანსს გამოყენება უნდა. მე რომ კულტურის მინისტრი ვიყო, ღარიბაშვილს სულაც არ ვკითხავდი, თუ როგორ უნდა „ამოვქაჩო“ ქართული კულტურა... ეკონომიკა რეგრესს განიცდის, ამიტომაც გვაქვს ყველა სფეროში დაღმასვლა. როცა პოლიტიკოსი საარჩევნო კამპანიას ატარებს, ხალხი მისგან ქარხნების გახსნასა და ამუშავებას ითხოვს, მაგრამ სახელმწიფო ამას ვერ შეძლებს, საამისოდ ხელისუფლებამ საკანონმდებლო ბაზა და მიმზიდველი გარემო უნდა შექმნას, მაგრამ არ აკეთებს. მხოლოდ ლამაზი სიტყვების თქმა და ბრტყელ-ბრტყელი გამოსვლა შეუძლიათ.

...ჩვენს თავს რაღაც თავისუფლების ზღვარი ჩვენვე უნდა დავუწესოთ, თორემ სულიერ ანარქიაში გადავალთ, რაც საბოლოოდ, აშშ-ი მე-19 საუკუნეში შექმნილ ვითარებამდე მიგვიყვანს. ამ 4-5 წლის მანძილზე ახალგაზრდებმა რამდენი მკვლელობა ჩაიდინეს? — ესეც ზედმეტი თავისუფლების შედეგია. არც ზედმეტი ჩარჩოებია კარგი და არც — გადაჭარბებული თავისუფლება. საზოგადოება მხოლოდ კანონიერ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ხალხი ქვეყნის მაჯისცემას უნდა აკონტროლებდეს — ვისაც აირჩევს, ის უნდა იმსახუროს და არა — პირიქით.

**— არ ფიქრობთ, რომ ადრინდელთან შედარებით, ბევრად უფრო კონკურენტული გარემოა?**

— კონკურენცია სსრკ-ს დროსაც იყო. გარანტირებული არავის არაფერი ჰქონდა. და ხელოვნების სფეროში ადგილის დასამკვიდრებლად საკმაოდ დიდი ძალისხმევა გჭირდებოდა.

**— თუმცა, მაშინ სახელმწიფო შემოქმედს ზღუდავდა...**

— ასე სულაც არ იყო, თითქმის ყველა სფეროში ადამიანები იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ. რეჟიმს არ უნდა დაპირისპირებოდი და ცენზურა არ შეგეხებოდა.

**— საბჭოთა კავშირში კვლავ იცხოვრებდით?**

— არა! საბჭოთა კავშირი, მთლიანობაში, საშინელი სახელმწიფო იყო!

დღეს ხელოვნება ცუდ სიტუაციაშია. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, ყველა შემოქმედის დაფინანსება არ შეუძლია, მაგრამ საკუთარი ნიჭის გამოვლინების შანსი ყველას უნდა მიეცეს.

**— როგორ?**

— სახელმწიფომ, მუნიციპალურ დონეზე, კულტურის ცენტრები უნდა გახსნას და იქ გამოფენის მოწყობა, თუ კონცერტის ჩატარება ნებისმიერ ხელოვანს უნდა შეეძლოს... ეს გამოფენები თუ კონცერტები ფასიანი უნდა იყოს და შემოსული თანხა მთლიანად შემოქმედს უნდა გადაეცეს, რაც მისთვის დიდი დახმარება იქნება.

**— მოსახლეობა ასეთი კულტურული ღონისძიებების მიმართ ინტრესს, ალბათ, არ გამოიჩენს, მით უმეტეს, თუკი ფასიანი იქნება...**

— ასე რატომ გგონიათ?

**— ხალხს მატერიალურად უჭირს...**

— კულტურის სამინისტრო ჯაზ-ფესტივალს ხომ კარგად ატარებს? ხომ შეიძლება, ასეთი ღონისძიებებიც დაიგეგმოს, ბილეთი თვითონ კულტურის მინისტრმა იყიდოს და ამით მაგალითი სხვებს მისცეს. რა, ხელფასი არ აქვს?! ალბათ, გახსოვთ ბიჭი, რომელიც 13 ივნისის სტიქიის პერიპეტიების დროს, მოხალისეების ტრანსპორტირებას უზრუნ-

გაგრძელება მე- 11 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

2-8 სექტემბერი 2015 | № 34 (299)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

## ხელოვანის ტრიბუნა

მე-10 გვერდიდან

ველყოფდა, რაც თავისებურად მისაბაძი მაგალითი იყო, თუმცა შემდეგ რაც მოხდა, ის აღარ მომეწონა — ამ ბიჭის გამგეობაში დანიშვნას ვგულისხმობ. ვიცნობ და იმისთვის, რასაც აკეთებს, საკმაოდ არაკომპეტენტურია... ანალოგიური მე რომ გამკეთებინა და შემდეგ, ვინმეს შეუფერებელი, თუნდაც მაღალანაზღაურებადი სამსახური შემოეთავაზებინა, ვეტყოდი, არა, მადლობა, ამ სფეროს სპეციალისტი არ ვარ-მეთქი. პიროვნება თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს და თუ ასე არაა, მაშინ ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. აი, მიშა სააკაშვილში ის მომწონდა, რომ პიროვნებები შექმნა. რა თქმა უნდა, ზოგს პატივმოყვარეობის სენი შეეყარა და „ნაციონალების" მმართველობის ბოლოდროინდელი სცენარიც ამას მოწმობს, მაგრამ ფაქტია: მიშამ მოქალაქეობრივი შეგნება შექმნა და მას, ვისაც ეს მოქალაქეობრივი შეგნება არ ჰქონდა, აჯარიმებდნენ.

**— ბატონო ბესო, რა ამის პასუხია და, რუსეთი თუ დასავლეთი?**

— საქართველო! ჩვენ ნეიტრალურები უნდა ვიყოთ.

**— ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ნეიტრალურები ვერ ვიქნებით...**

— გეოპოლიტიკაში ნაკლებად ვერკვევი, თუმცა იმის თქმა შემიძლია, რომ ის, რისკენაც მსოფლიო მიექანება, კატასტროფაა.

**— გლობალიზაციას გულისხმობთ?**

— კი... როცა ადამიანები ეროვნულ თვითშეგნებას კარგავენ, უფსკრულისკენ მიექანებიან.

**— იაპონიაზე რას იტყვით, რომელსაც ტრადიციებიც შენარჩუნებული აქვს და გლობალიზაციის პროცესშიც აქტიურადაა ჩართული?**

— იაპონელები გლობალიზაციაში გათქვეფილნი არ არიან, უბრალოდ, გეოპოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობას იმიტომ იღებენ, რომ რაღაც ინტერესები აქვთ, თორემ სხვა შემთხვევაში, მათ არ სჭირდებათ, გლობალიზაციას ეზიარონ....

ქართველს სურს, რომ თავი სხვას მოაწონოს, ეს ჩაცმულობაზეც იგრძნობა. რაღაცებს სხვების გათვალისწინებით ვაკეთებთ და არა — ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

**— სწორედ ესაა შინაგანი თავისუფლების არქონა, რაზეც წეღან ვსაუბრობდი...**

— შინაგანი თავისუფლება ქართველს ოდითგანვე ჰქონდა, წაწლაობის ქვეყანაში, რამე შეზღუდვაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ჩვენს სახელმწიფოში დაუწერელი კანონებიც მოქმედებდა, რომელიც ღირსებასა და მორალს განსაზღვრავდა. იმას არავინ ამბობს, მაშინ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ან ამორალური ადამიანები არ არსებობდნენო, მაგრამ დღევანდელობასთან შედარებაც არ შეიძლება.

**— ამორალურობა პირობითი ცნებაა...**

— ადამიანებმა ორმაგი სტანდარტით არ უნდა იცხოვრონ. არ შეიძლება, ქალი მეძავიც იყოს და ამავდროულად, ეკლესიაშიც დადიოდეს.

**— ეკლესიაში სიარულს ვერავინ ვერავის დაუშლის...**

— დიახ, მაგრამ აბსურდამდე მივდივართ... ერთ მაგალითს მოვიყვან: არსებობდა როსკიპი ქალი, ტაისია ეგვიპტელი, რომელიც შემდეგ წმინდანად კი შერაცხეს, რადგან თავის შეცდომას მიხვდა და სხეულით ვაჭრობას შეეშვა. იმას ვამბობ, რომ ერთდროულად უზნეო და დადებითი პიროვნება ვერ იქნები, არჩევანი ზნეობასა და უზნეობას შორის უნდა გააკეთო. ეს მხოლოდ მეძავებს კი არ ეხება, ყველა სფეროში ასეა: ადამიანები მაღალ თანამდებობებზე არიან, ფულს „ტეხავენ" და შემდეგ, ყოველ კვირას, სამებაში გვეცხადებიან. ამ ხალხს საქართველო სულ არ აინტერესებს, მხოლოდ თავის კმაყოფაზე ფიქრობს. შეიძლება, ეს ამორალური ქცევები ვინმემ სექსუალურ რევოლუციად გაასაღოს, მაგრამ ამ მოვლენამ დასავლეთი დაღუპა.

**— დაღუპულებს ჩვენ უფრო ვგავართ...**

— გაუნათლებლობის ბრალია, როცა მათ კარგად ყოფნას სექსუალურ რევოლუციას მივაწერთ. აშშ-ში, მე-20 საუკუნეში, თავისუფლების ზღვარმა იმ დონეს მიაღწია, რომ ახალგაზრდები აღარაფერს ეპუებოდნენ. ამიტომ, რეიგანმა თავისი საპრეზიდენტო ვადის ერთ-ერთი წელი ოჯახის წლად გამოაცხადა. დღეს აშშ-ში ოჯახის კულტია და ევროპაშიც სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდება. ჩვენ ამ გზას ახლა გავდივართ...

ისე, სექსუალური რევოლუცია ყველა ახლადგათავისუფლებულ ქვეყანაში ხდება. ეს პროცესი 90-იანი წლების დასაწყისში, რუსეთშიც მიმდინარეობდა: ერთმა რუსმა გოგომ, ფუნთუშის ყიდვის სანაცვლოდ, საკუთარი თავი შემომთავაზა. რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი — პური და ძეხვი ვუყიდე და გავეცალე. სექსუალური რევოლუცია შინაგან თავისუფლებასთან სულაც არ ასოცირდება.

**— ყველაფერ ამაში რელიგია რა როლს თამაშობს?**

— დღეს რელიგია, სამწუხაროდ, თავის სიმაღლეზე არ დგას. თუ ოჯახის რჩენა გინდა, ან პოლიტიკოსს უნდა „შეეტენო", ან ცნობილ ადამიანს „შეეკვეხო", ან მღვდელი გახდე. სასულიერო პირების 80%-ს იმის არ სჯერა, რასაც ქადაგებს. ღირსეულ მღვდლებსაც ვიცნობ და ეკლესიას გვერდში ამ მცირე ნაწილის გამო დავუდგები. საუბედუროდ, ადამიანს ველარ გაუგია, ვის დაუჯეროს... ჩვენ ძალიან რადიკალური საზოგადოება ვართ: ან ერთი პოლუსისკენ ვიხრებით, ან მეორე უკიდურესი წერტილისკენ. ქართველს ზომიერების გრძნობა არ აქვს.

**— თქვენთვის ჰარმონიული და იდეალური საქართველო როგორია?**

— ვფიქრობ, ასეთი საქართველო 60-იან წლებში არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ცნობიერებაში ასეა.

**— მაშინ დამოუკიდებლები არ ვიყავით...**

— დიახ, მაგრამ შინაგანი თავისუფლება გვქონდა. თბილისში ყველაზე ღიმილიანი სახეებით მაშინ დადიოდნენ. ყველა ღირსშესანიშნაობა სწორედ იმ დროს აშენდა. ელემენტარულის დათმობის ფასად, საქართველომ წინ წაიწია.

...წეღან საგარეო ორიენტაციაზე მკითხეთ... საქართველოსკენ არავინ იხედება... თუ არაფერი შემოგვრჩა, ახლიდან უნდა შევქმნათ, ხელისუფლებას ზუსტად ამიტომაც ირჩევენ, რომ რაღაც გააკეთოს. ჩვენი საზოგადოება შინაგანად შემოქმედი უნდა გახდეს.

**— ბატონო ბესო, ქართველობა მხოლოდ სუფრაზე ხომ არ შემორჩა?**

— ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მე და ჩემს გარშემო მყოფები ვცოცხლობთ, ქართველები ვიარსებებთ. ყველამ რაღაც უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის, ელემენტარულად, უადგილო ადგილას მანქანა არ უნდა დავაყენოთ და ფეხით სამი კილომეტრის გავლა რომ მოგვიწიოს, გავიაროთ. ჩვენ თავს ჩვენვე უნდა დავუწესოთ რაღაც საზღვრები. როცა ვხატავ, თავისუფალი მაშინ ვარ, მინდა, ჩემი სახელოსნო მქონდეს და ამ შემთხვევაში თუნდაც ჩემი ქვეყნისთვის, გაცილებით მეტს გავაკეთებდი, მაგრამ სახელოსნოს გახსნის ფინანსები არ მაქვს. მას კი, ვისაც ეს შეუძლია, ჩემი პრობლემები არ აინტერესებს. სულ ვჩხუბობდი, ოდიშარია „ამოქოქეთ"-მეთქი და ისე „დაქოქეს", რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს. მოიყვანეს სხვა მინისტრი, რომელიც არაფრის გამკეთებელია — სარგებელი ვერ ვიგრძენი. მდიდრებისთვის კი აკეთებენ ჯაზ-ფესტივალს და ამდაგვარ პროექტებს... აი, იმ ფულით, რასაც ეგენი ჯაზ-ფესტივალში ხარჯავენ, ისეთ ღონისძიებას ჩავატარებდი, მთელ ქვეყანას ავალაპარაკებდი.

**— მაინც, რას გააკეთებდით?**

— კულტურის უუნარო მინისტრს იდეა რატომ უნდა მივაწოდო? კულტურის იდეალურ მინისტრად გია ბაღაშვილი წარმომიდგენია...

**— რა უნდა შევცვალოთ, რომ ჩვენი მდგომარეობა გამოსწორდეს?**

— პირველ რიგში, სამსახურში ძმაკაცობითა და ახლობლობით მიღება უნდა ამოვძირკვოთ და ყველამ ის საქმე უნდა ვაკეთოთ, რაც გამოგვდის. ნაძალადევის გამგეობაში ვმუშაობდი, პარკებსა და სკვერებს ვაპროექტებდი, პროფესიით არქიტექტორი ვარ. სამსახურიდან იმიტომ გამომიშვეს, რომ 45-ქულიანი კომპეტენციის ზღვარი ვერ გადავლახე. არადა, ტესტებში მოცემულ შეკითხვებს ჩემს პროფესიასა და საქმიანობასთან არაფერი ესაქმებოდათ. სწორედ ესაა ჩვენი უბედურება. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობაში აღარ ვარ, მაინც დავდივარ და ყოფილ თანამშრომლებს ჩემს დაწყებულ საქმეებში ვეხმარები, ესაა ჩემი მოქალაქეობრივი ვალი, რომელსაც კვლავაც შევასრულებ.

**ესაუბრა დავით გალაშვილი**



## თბილისური ამბები

# თბილისის საკრებულო ხელოვნებისა და ლიტერატურის გრანდიოზულ კონკურსს მართავს

**თბილისის საკრებულოს ინიციატივით, ხელოვნებისა და ლიტერატურის კონკურსი „თბილისი" ჩატარდება, რომელიც თავის გამოჩენის საშუალებას ბევრს მისცემს. „ქართულ სიტყვას" კონკურსის დეტალებზე თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი ესაუბრა:**



— კონკურსი „თბილისი" ხელოვანთათვის ძალიან სასიხარულო სიახლეა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იმითაცაა, რომ კონკურსი ხელოვნებისა და ლიტერატურის თითქმის ყველა მიმდინარეობას აერთიანებს და მონაწილეობის მიღება ძალიან ბევრ ადამიანს შეეძლება. „თბილისი" წელს პირველად ჩატარდება და ვფიქრობ, საკმაოდ მასშტაბური იქნება — ადამიანებს თავიანთი ნამუშევრების — სიმღერა, ნოველა გამოგზავნა საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან შეეძლებათ. გვსურს, რომ კონკურსში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდანაც ჩაერთონ. კონკურსში ჩართვის ბოლო ვადა 10 სექტემბერია...

კონკურსის შესახებ ყველა დეტალი თბილისის საკრებულოს ვებ-გვერდზეა განთავსებული და სწორედ საიტის მეშვეობით გაიგებს ყველა, თუ როგორ დარეგისტრირდნენ და ნამუშევრები წარადგინონ.

ჩვენს კონკურსში არ არის ასაკობრივი შეზღუდვა, თუმცა თბილისზე ესსე მხოლოდ სკოლის მოსწავლეებმა უნდა დაწერონ.

გაგაცნობთ ნომინაციებსაც:

საუკეთესო პროზაული ნაწარმოები, საუკეთესო პოეტური ნაწარმოები, საუკეთესო ესე („ჩემი თბილისი" — სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის), საუკეთესო სიმღერა, წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები, საუკეთესო ქანდაკება, საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები, საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები, ჟიურის სპეციალური პრიზი.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა 1500 ლარი და სპეციალური მონუმენტი.

კონკურსი „თბილისი" ხელს შეუწყობს ჩვენი მოქალაქეების განვითარებას, ასევე, ხელოვანს ექნება მოტივაცია, რათა უფრო ღირებული ნამუშევრები შექმნას.

**მოამზადა დავით გალაშვილმა**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გახმაურებული საქმე

# რატომ არ ასახელებს გამოძიება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთებს

## ინტერვიუ დაზარალებული ოჯახის ადვოკატთან

**ახლახანს იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ბრალმდებელმა პროკურორმა, ლაშა ცქვიტარიამ განაცხადა, რომ პროკურატურა ვაზაგაშვილის მკვლელობის თანამონაწილეობაში ბრალდებულს აშშ-სა და საფრანგეთში ეძებს. პარალელურად, „სამართალდამცველთა ლიგის“ წევრმა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ირაკლი ქადაგიძემ მუქარის შემცველი სატელეფონო შეტყობინება მიიღო, რომლის ტექსტი იური ვაზაგაშვილის სახელს უკავშირდება. რატომ გაჭიანურდა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთებისა და შემსრულებლების გამოაშკარავება, ხომ არ ჩაეწერება ეს საქმეც გამოუძიებელ კრიმინალურ დანაშაულთა სიაში და აქვს თუ არა კავშირი ოქროყანაში მომხდარ ინციდენტთან, რომლის დროსაც შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, პოლიციის გენერალი ლევან გვაზავა დაიჭრა, მისი ნათესავი კი გარდაიცვალა? — „ქართული სიტყვა“ ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატ გაგი მოსიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გაგი, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის სასამართლო პროცესებზე ისეთი ხომ არაფერი მოხდა, რამაც „სამართალდამცველთა ლიგა“ „შეარყია“? კრიმინალური დეპარტამენტის ყოფილმა დირექტორმა, ირაკლი ქადაგიძემ განაცხადა, რომ მუქარისშემცველ სატელეფონო მესიჯებს იღებს, რომელთა შინაარსიც ასეთია: „მალე ვაზაგაშვილის გზას დაადგები“.**

— ვფიქრობ, ეს გარკვეული სახის პიარია, თუმცა ქადაგიძისა და „სამართალდამცველთა ლიგის“ სხვა წევრების მხრიდან ზეწოლა გამორიცხულია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სოსანაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ, სამართლიანი სასამართლო?**

— საგამოძიებო მასალები.

**— „სამართალდამცავთა ლიგიდან“ მაინცდამაინც ქადაგიძეს რატომ ემუქრებიან?**

— ჩემთვის უცნობია, ირაკლი ქადაგიძეს ვინ დაემუქრა, მაგრამ კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ მის მიმართ მუქარა რამენაირად სოსანაშვილის საქმის განხილვასთან იყოს დაკავშირებული.

**— ასე დარწმუნებული რატომ ხართ?**

— ჩემი აზრით, ლოგიკაში არ ჯდება... დღეისთვის ქადაგიძისა და „ლიგის“ სხვა წევრების, ფირცხალავას გარდა, მიმართ მტკიცებულების სტანდარტი, რაც მათ ბრალეულობას გამოკვეთავს, არაა, ანუ მათი დევნის ერთი მიზეზიც არ არსებობს. ისე, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის მონაწილე შსს-ს მაღალჩინოსნები, „სამართალდამცავთა ლიგის“ დამფუძნებლები და, ამავე დროს, „ნაცმოძრაობის“ წევრები არიან. სამართლიანობის აღდგენა იმ ნაწილში, რასაც ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობა ჰქვია, მათთვის კომფორტული არაა.

**— ყარაფილაში, შვილის საფლავზე იური ვაზაგაშვილის აფეთქების მერე, მისმა ქვრივმა, ციალა ვაზაგაშვილმა განაცხადა: „ბოლო იმედი მომიკლა ფირცხალავამ. ყველამ გაიგოს: ეს ფირცხალავას ჩადენილია. ამ ადამიანმა ოჯახი მომიკლა“, ქალბატონი ციალას ამჟამინდელი განმარტებით, ეს განცხადება ცხელ გულზე გააკეთა.**

— გარკვეული ინფორმაცია გვაქვს, მაგრამ მტკიცებულებითი სტანდარტი სულ სხვა რამეა. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ამ საქმესთან კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს, ირაკლი ფირცხალავას გარკვეული სახის შემხებლობა ჰქონდეს, მაგრამ ამას მტკიცე და გამოძიების შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სჭირდება.

**— ქალბატონმა ციალამ უკან დაიხია?**

— კიდევ ვიტყვი: ვერსიის დონეზე, ფირცხალავაც რჩება... გია სოსანაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ვერსიები არ განიხილება. არ ვფიქრობ, რომ ქალბატონმა ციალამ უკან დაიხია. საერთოდ, საკითხი ასე არ უნდა დაისვას: გამოძიება გრძელდება და ვერსიების, ინფორმაციების გადამოწმება-დამუშავება მიმდინარეობს. არაა გამორიცხული, რომ უახლოეს პერიოდში ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, მაგრამ ამას მტკიცე სტანდარტი სჭირდება, რაც გამოძიებამ უნდა შექმნას. სოსანაშვილის მიმართ არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო, რომ სასამართლოში მის მიმართ ბრალდების საქმე წარმართულიყო. გამოყოფილ საქმეზე მოკვლევა იმ მიზნით მიმდინარეობს, რომ მკვლელობის თანამონაწილე პირი, ან პირთა წრე, ასევე, შემკვეთები გამოვავლინოთ... საგამოძიებო ქმედებები მიმდინარეობს როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც.

**— პირველ რიგში, ალბთ, მკვლელობის მოტივი უნდა დადგინდეს. ამაზე გამოძიებას რა პასუხი აქვს?**

— ჯერ ვერ გეტყვით, ვის აწყობდა ამ ადამიანის მოკვლა.

**— გამოძიების პროცესში დამკვეთის ვინაობა გამოიკვეთა?**

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ 2006 წლის 2 მაისიდან მოყოლებული, იური ვაზაგაშვილი სამართალს ეძებდა და ამ ბრძოლას შეეწირა. ჩვენ ზურას სიკვდილის შემდეგ ერთად ვმუშაობდით, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ტენდენციური იყო, დაზარალებული მხარის მოწმეს საშუალება არ მისცეს, საქმეს გასცნობოდა, ხელით აწერინებდნენ ექსპერტიზის დასკვნებს, ამ პირობებში ვაგროვებდით ინფორმაციას, მტკიცებულებებს. ბატონი იური ბრძოლას წუთითაც არ წყვეტდა და ცდილობდა, პასუხი მიეღო შეკითხვაზე: შვილი რატომ მოუკლეს.

**— არც მკვლელობის თანამონაწილეების ვინაობა გამოიკვეთა?**

— გავრცელდა ინფორმაცია, შემთხვევის ადგილზე სხვა პირის დნმ-ის კვალი ჩანს. ამიტომ არაა გამორიცხული, სხვა პირის თანამონაწილეობა დადგენილი იყოს, ამ მიმართულებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

**— ეს „სხვა პირი“ ვინაა?**

— პირის იდენტიფიცირება არ მომხდარა...

**— ითქვა, რომ საგამოძიებო მოქმედებები ქვეყნის გარეთაც მიმდინარეობს. ითქვა ისიც, რომ სოსანაშვილს სატელეფონო კავშირი საფრანგეთსა და აშშ-ში მცხოვრებ პირებთან ჰქონდა...**

— გამოძიებამ საჭიროდ ჩათვალა, რომ საგამოძიებო მოქმედებები საქართველოსა და ქვეყნის გარეთ ჩატარებულიყო, თუმცა იმაში, თუ რა მიმართულებით ხორციელდება, დაზარალებულის ადვოკატები ჩართულნი არ ვართ. ჩვენ მხოლოდ გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ვეცნობით. დღეის მდგომარეობით, გამოძიება საზღვარგარეთიდან განხორციელებულ სატელეფონო ზარებზე მუშაობს, რომლის გასაჯაროება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გამოძიებას ხელი არ შეეშალოს, მიზანშეუწონელია.

**— თავიდან მკვლელობის რუსულ კვალზეც საუბრობდნენ...**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეის მონაცემებით, სოსანაშვილის პასუხისმგებლობის გარდა, იურისტის მხრიდან ამ სიტუაციაში ვერსიების დონეზე საუბარი ჭორაობას დაემსგავსება. იურისტი მხოლოდ მტკიცებულებების სტანდარტებზე საუბრობს. გამორიცხული არაა, თანამონაწილეების არსებობა, მაგრამ დეტალების კონკრეტიზირებას არ ვაპირებ.

**— იური ვაზაგაშვილი 2015 წლის იანვარში, საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქეს. ქვეყნის პრემიერი გამოძიების მოკლე დროში დასრულებას კატეგორიულად ითხოვდა. შსს მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე საზოგადოებას არწმუნებდა, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელების ვინაობა უმოკლეს დროში დადგინდებოდა... გამოძიება რა ეტაპზეა?**

— თავიდანვე ვაცხადებდით, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობა გია სოსანაშვილის ბრალეულობით არ შემოიფარგლებოდა. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს კარგად დაგეგმილი ორგანიზებული დანაშაულია. გამოძიებამ სოსანაშვილის მიმართ სწრაფი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა, რამაც დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. თანამონაწილეებისა და მკვლელობის ორგანიზებული ჯგუფის გამოაშკარავება კი ჭიანურდება, თუმცა პროცესში რაიმე შემაფერხებელი გარემოებები არ არის და ბრალს ვერც უმოქმედობაში დავდებთ.

**— ბატონო გეგა, სოსანაშვილსა და ვაზაგაშვილს შორის პირადი დაპირისპირება ხომ არ არსებობდა?**

— ამ ეტაპზე გია სოსანაშვილი დაკითხული არაა, იკითხებიან ბრალდების მოწმეები, ამიტომ ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს და სხვა ფაქტები სასამართლოსთვის ცნობილი დაკითხვის მერე გახდება. სოსანაშვილის მიმართ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხრიდან საკმაო მტკიცებულებებია წარდგენილი და, სამართლებრივად სწორი შეფასების შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოვიდეს.

**— შეიძლება ითქვას, რომ ორი — ზურა და იური ვაზაგაშვილების მკვლელობების საქმე გაერთიანებულია?**

— ბატონი იური შვილის იმიჯის დაცვასა და სამართლიანობის აღდგენას შეეწირა. მის მიერ დაარსებული ორგანიზაცია — „გადაარჩინე სიცოცხლე“ აერთიანებდა შვილმოკლულ მშობლებს, რომლებიც ცდილობდნენ, საზოგადოების ყურადღება მიექციათ და ადამიანები უბედურებისგან ეხსნათ. ბატონი იურის პირდაპირი ხასიათი, მისი პრესკონფერენციები ბევრს არ სიამოვნებდა... ამ ორ საქმეს შორის სამართლებრივი არა, მაგრამ მორალური კავშირი ნამდვილად არის. სასამართლო პროცესი 16 სექტემბერს განახლდება.

27 აგვისტოს კი, შვილის საფლავზე ვანდალურად მოკლული იური ვაზაგაშვილის დაბადების დღე იყო — 62 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენას ვერ მოესწრო, ბრძოლას შეეწირა. ოჯახის ადვოკატებს საგამოძიებო ჯგუფთან კავშირი გვაქვს, ვიმედოვნებთ, რომ სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.



**„ვერსიის დონეზე, ფირცხალავაც რჩება... გია სოსანაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ვერსიები არ განიხილება. არ ვფიქრობ, რომ ქალბატონმა ციალამ უკან დაიხია. საერთოდ, საკითხი ასე არ უნდა დაისვას: გამოძიება გრძელდება და ვერსიების, ინფორმაციების გადამოწმება-დამუშავება მიმდინარეობს. არაა გამორიცხული, რომ უახლოეს პერიოდში ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, მაგრამ ამას მტკიცე სტანდარტი სჭირდება, რაც გამოძიებამ უნდა შექმნას. სოსანაშვილის მიმართ არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო, რომ სასამართლოში მის მიმართ ბრალდების საქმე წარმართულიყო. საქმეზე მოკვლევა იმ მიზნით მიმდინარეობს, რომ მკვლელობის თანამონაწილე პირი, ან პირთა წრე, ასევე, შემკვეთები გამოვავლინოთ... საგამოძიებო ქმედებები მიმდინარეობს როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც“.**



ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## საინფორმაციო მხარდაჭერა





„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს სტუდენტთა მიღებას პროფესიული პროგრამების ფაკულტეტზე:

**1)** სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი ), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1200** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**2)** მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური **1500** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური **1500** ლარი (წლიური).






კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55
ტელ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

რუსული გაკვეთილები

# ექსკლუზივი — ფინეთის ომში დაღუპულ ქართველთა დღემდე უცნობი სია

**მეთოდები, რომლებითაც რუსეთი მეზობელ სახელმწიფოებს იპყრობს, სტანდარტულია. ამჯერად, „ქართული სიტყვა“ გიამბობთ, თუ როგორ ებრძოდა საბჭოთა კავშირის უზარმაზარ იმპერიას პატარა, სამმილიონნახევრიანი ფინეთის რესპუბლიკა.**

**მამუკა გოგიტიძე,** ისტორიკოსი: — 75 წლის წინ, საბჭოთა არმია ფინეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. ფინელები ძლიერი ნების, გამძლე ხალხია, რომელიც მკაცრი კლიმატის პირობებში საკუთარ კულტურას ქმნიდა. ყველაფერი კი, უფრო ადრე დაიწყო: ისტორიულად ფინეთის დიდი სამთავრო რუსეთის იმპერიას ქართველმა პეტრე ბაგრატიონმა შეუერთა, დაპყრობილ ფინეთის ტერიტორიაზე რუსეთმა დიდი ფინეთის სამთავრო შექმნა, რომლის დიდ მთავრად რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ლენინმა „ერთა თვითგამორკვევისათვის“ დეკრეტი გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ფინეთს, ბალტიისპირეთს, პოლონეთს, ამიერკავკასიის, შუა აზიის ქვეყნებს დამოუკიდებლობა უნდა მიეღოთ. ასე რომ, რუსეთისგან, პრაქტიკულად, აღარაფერი რჩებოდა... ლენინს ფინეთის დათმობა არ უნდოდა, ასე უთქვამს: „ფინეთის დაკარგვა ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, დეკრეტი უკვე გამოვეცით!“ დამოუკიდებლობა პირველმა სწორედ ფინეთმა მიიღო, თუმცა მალევე დაკარგა.

1939-1940 წლების მოკლევადიანი ომის შედეგად, ფინეთისგან მიერთებულ ტერიტორიებზე რუსეთმა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დააარსა, რომელმაც 1957 წლამდე იარსება და ნიკიტა ხრუშჩოვმა გააუქმა. გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, ფინეთი ტერიტორიებს აუცილებლად დაიბრუნებდა, მაგრამ ტერიტორია, რომელიც რუსეთს ბუფერულ ზონად სჭირდებოდა, დღესაც მის შემადგენლობაშია. 1939 წლის 23 აგვისტოს, საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა, მალე ბალტიისპირეთში წითელი არმია შევიდა, რათა იქ საკუთარი ბაზები განეთავსებინა... 5 ოქტომბერს, ანალოგიური თხოვნით, საბჭოთა კავშირმა ფინეთს მიმართა. რუსეთმა საკუთარი ზრახვების გამჟღავნება, ჩვეულებისამებრ, ულტიმატუმის ენით დაიწყო. საზღვრის გადაწევის სანაცვლოდ, ფინელებს ტერიტორიები შესთავაზა. ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი გახლდათ, გაცვლის შემთხვევაში, რუსეთი აგრესორად არ გამოჩნდებოდა. ფინეთის მაშინდელმა პრემიერმა, მანერჰეიმმა მთავრობას ურჩია, დათმობაზე წასულიყო და ამ უზარმაზარ სახელმწიფოს არ დატაკებოდა, მაგრამ მთავრობამ ეს რჩევა ყურად არ იღო. 1939 წელს, ომის სამზადისის წინ, რუსეთის სამხედრო წრეებში ხუმრობდნენ, ფრთხილად ვიყოთ, ფინეთის გავლით, საბჭოთა ჯარი შვედეთში არ გადავიდესო. ვოროშილოვი დარწმუნებული იყო, რომ ფინეთს ორ კვირაში დაიპყრობდა. საბჭოეთი მეორე მსოფლიო ომისთვის ემზადებოდა, ფინეთ-საბჭოთა საზღვარი ქალაქ ლენინგრადიდან 12 კილომეტრში გადიოდა, სტალინს სურდა, საზღვარი გადაეწია... ფინეთში კაპიტულანტური განწყობა სულაც არ იყო — სამშობლოს დასაცავად ყველა აღდგა. წლების მერე, ხრუშჩოვი გაიხსენებს: სტალინმა თქვა, მოდით, დავიწყოთ დღეს, ერთი გასროლა გავაკეთოთ, ფინელები ხელებს მაშინვე ასწევენ და ჩაგვბარდებიანო. ეს სტალინის უდიდესი შეცდომა იყო.

**„მეხუთე კოლონა“ და „თეთრი სიკვდილი“, რომელმაც 548 წითელარმიელი მოკლა**





მეხუთე კოლონის მცდელობამ ბალტიისპირეთში გაამართლა — ხელისუფლებაში პოსტსაბჭოთა ძალების დასმით, ამ ქვეყნების დაპყრობა გაუადვილდა, მაგრამ ფინეთის შემთხვევაში, არ იმუშავა. ფინელების პოლიტიკური ალღო და პატრიოტიზმი უფრო შორს გამიზნული აღმოჩნდა. ცოცხალი ძალის დიდი უპირატესობის მიუხედავად, საბჭოთა ჯარი მოუმზადებელი აღმოჩნდა, მკაცრ კლიმატურ პირობებში ებრძოლა. გარდა ამისა, საბჭოეთში ჩატარებული მასობრივი რეპრესიების შედეგად, სამხედრო ძალები გაძვალტყავებული იყო — ზედა ეშელონების არმიის მეთაურები, ათი ათასობით ოფიცერი დახვრიტეს. ფინეთის ომში გამოუცდელი მეთაურები იბრძოდნენ. საბჭოთა სარდლობამ არც მანერჰეიმის ხაზის მნიშვნელობა გაითვალისწინა. მათი აზრით, საბრძოლო მოქმედებები ორ კვირაში უნდა დასრულებულიყო. ერთ ფინელზე შვიდი-რვა საბჭოთა ჯარისკაცი მოდიოდა, მაგრამ პატარა ერი ბოლომდე იბრძოდა, მისი გმირობა ყველა მცირე ერისთვის სამაგალითოა.

ფინეთის პრეზიდენტი გუსტავ მანერჰეიმი გენერალი რუსეთის არმიაში მოღვაწეობის დროს გახდა, მანამდე, ახალგაზრდობაში, ჩინეთში მოგზაურობდა, სადაც ჩინეთის დიდი კედლით დაინტერესდა და სამშობლოში დაბრუნებულმა გადაწყვიტა, მსგავსი გასამაგრებელი სისტემა აეგო, თავისი განშტოებებით, სტრატეგიული მაჩვენებლებით, კოშკურებით. როცა ფინეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეს სურვილი რეალური გახდა — გამაგრებითი სისტემის მშენებლობა 1927 წელს დაიწყო, მთელი თავისი ინფრასტრუქტურითა და მიწისქვეშა გასასვლელებით. ეს უნიკალური საინჟინრო ნაგებობაა, რომელიც ჩინეთის კედელს

გაგრძელება მე-15 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

2-8 სექტემბერი 2015 | № 34 (299)



## რუსული გაკვეთილები

მე-14 გვერდიდან

ვერ შეედრება. 1927 წელს დაწყებული მშენებლობა, რომელშიც უცხოეთიდან მოწვეული ინჟინრები მონაწილეობდნენ, 1939 წელს დამთავრდა. ზუსტად ერთ თვეში, რუსეთმა ინტერვენცია განახორციელა, მაგრამ ცნობილი „მანერჰეიმის ხაზის“ აღება ისე იოლიც არ იყო, როგორც საბჭოეთში ეგონათ.

აალებადი ბოთლები, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები პირველად ამ ომში გაჩნდა. ფინელებმა ექვს თვეში ნახევარი მილიონი ასეთი ბოთლი გამოუშვეს და კარგად იყენებდნენ საბჭოთა ტანკების წინააღმდეგ, რომელთაც სახმელეთო მხარდაჭერა არ ჰქონდათ. წარმოუდგენელია სნაიპერების როლიც: მაგალითად, მეომარმა სიმო ჰაიჰამ 548 წითელარმიელი მოკლა, რისთვისაც „თეთრი სიკვდილი“ შეარქვეს. როცა ჰკითხეს, სინდისი აწუხებდა თუ არა, უპასუხა, ბრძანებას ვასრულებდიო.

1939 წლის დეკემბერში დაწყებული ლოკალური ომი 1940 წლის 12 მარტს ზავით დამთავრდა – საბჭოთა კავშირმა ფინეთს კარელია წაართვა და ასე შეიქმნა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირი, ამ აგრესიული ქმედების გამო, „ერთა ლიგიდან“ გარიცხეს.

ბოლშევიკების მეთოდით, კარელია-ფინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში მეხუთე კოლონა შეიქმნა. ახალი ხელისუფლება, კუსინენის მეთაურობით, ფინელი რენეგატებისგან შედგებოდა. რუსეთისთვის ჩვეული დაპყრობითი სქემის მიხედვით, მოვლენები ასე უნდა წარმართულიყო: ხელისუფლებაზე პრეტენზიას ფინეთის კომუნისტური პარტია განაცხადებდა, საბჭოთა პროპაგანდა მსოფლიოს შეატყობინებდა, რომ რუსეთის მიმართ ფინეთის რესპუბლიკა აგრესიას ახორციელებდა, შეიქმნებოდა რაღაც კომიტეტი, რომელიც საკუთარ თავს ლეგიტიმურს უწოდებდა. შემდეგ, თითქოს „დახმარებისთვის“, ეს მთავრობა საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავდა და მოკლე დროში ფინეთი საბჭოეთის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა. სტალინს ჰელსინკში, პრეზიდენტის სასახლეზე საბჭოთა დროშის აფრიალება უნდოდა, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა მისი გაწითლება ვერ მოახერხა. მეხუთე კოლონა ისე ჩამოიშალა, როგორც ქვიშის სასახლე.

მართალია, ზავი დაიდო, მაგრამ მცირერიცხოვანმა ფინელმა ხალხმა კოლოსალურ შეტევას გაუძლო, ბოლშევიკებს უამრავი დანაკარგი განაცდევინა... ერთმა ცნობილმა გენერალმა კი თქვა, კიდევ ერთი ასეთი „გამარჯვება“ და საბჭოთა არმიისგან არაფერი დარჩებაო. საბჭოთა არმიის უძლეველობის მითი დაიმსხვრა. სწორედ ამან წაახალისა ჰიტლერი, ცნობილი ოპერაცია – „ბარბაროსა“ დაეწყო...

ბედის ირონიაა: ოკუპანტი რუსეთის ისტორიაში, ქართული ელემენტის გარეშე ერთ ომსაც არ ჩაუვლია. ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომის დროს დაღუპულთა შორის ქართველებიც არიან, რომელთა რიცხვი ხუთასს აჭარბებს.

ქალაქ პეტროზავოდსკიდან მეგობარმა საარქივო მონაცემები მომაწოდა. საბჭოთა კავშირის მილიონიან არმიაში უამრავი ქართველი ირიცხებოდა. იქნებ, ნათესავებმა ამ მეომრებზე არაფერი იციან – სად იბრძოდნენ, სად დაიღუპნენ.

მოამზადა **ნათია გოგიტიძე**








## 1939-1940 წლებში, ფინეთში დაღუპული ქართველები

**„ქართული სიტყვა“ გთავაზობთ ფინეთში დაღუპული ქართველების ერთი ნაწილის სიას.**

**აბესაძე იაკობ ვასილის ძე**

წითელარმიელი.
დაბ. 1917 წ. საქართველოს სსრ. ტყიბულის რაიონის სოფ. მუხურა.
დაიღუპა 1940 წ.

**ამირანაშვილი სოლომონ პოსპერის ძე**

წითელარმიელი.
საქართველოს სსრ, ქ. თბილისი, კოჯრის დასახლება.
დაიკარგა უგზოუკვლოდ.

**ახალაძე სიმონ იულონის ძე**

წითელარმიელი.
დაბ. 1918 წ. საქართველოს სსრ. ქ. სამტრედია.
დაიღუპა ბრძოლაში 1940 წლის 6 მარტს.

**ახობაძე აკაკი ისიდორეს ძე**

წითელარმიელი.
საქართველოს სსრ. ქ. სამტრედია.
დაიკარგა უგზოუკვლოდ.

**ბააკაშვილი ე.**

უმცროსი მეთაური.
დაბ. 1910წ. ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბორითი.
დაიღუპა ბრძოლაში. 1939 წლის 18 დეკემბერს.

**ბაიდაშვილი ივანე იოსების ძე**

უფროსი მექანიკოს-მემანქანე.
საქართველოს სსრ. სიღნაღის რაიონის სოფ. ქვედა მაღარო.
დაიღუპა ბრძოლაში 1939 წ. 17 დეკემბერს.

**ბასილაია ისაak სინოს ძე**

წითელარმიელი.
დაბ. 1018 წ. ქუთაისის გუბერნია, სოფ. სალხინო
დაიღუპა ბრძოლაში 1939 წლის 20 დეკემბერს.

**ბაძგარაძე ალექსანდრე ნესტორის ძე**

წითელარმიელი.
დაბ. 1915 წ. ქუთაისის გუბერნია, დაბა ფერსათი. საკადრო სამხედრო მოსამსახურე.
დაიღუპა ბრძოლაში 1940 წლის 18 თებერვალს.

**ბეგალიშვილი ზაქრო დავითის ძე**

დაბ. 1917 წ. თბილისის გუბერნიის სოფ. ძველი ანჩა.
უგზოუკვლოდ დაიკარგა.

**ბერიძე შერიფი შემშეს ძე**

წითელარმიელი.
აჭარის ასსრ. ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირი. უგზოუკვლოდ დაიკარგა.

**ბერულავა მელქისედეკ ვლადიმერის ძე**

პორუჩიკის მოადგილე.
დაბ. 1918 წ. საქართველოს სსრ, გეგეჭკორის რაიონის სოფ. გეგეჭკორი.
დაიღუპა ბრძოლაში 1939 წ. 15 დეკემბერს.

**ბიწაძე შალვა ალექსის ძე**

წითელარმიელი.
დაბ. 1915 წ. ქუთაისის გუბერნია, სოფ. სვირი.
უგზოუკვლოდ დაიკარგა. 1940 წლის 10 იანვარი.

**ბუცხრიკიძე ვალენტინე მიხეილის ძე**

საქართველოს სსრ, ზესტაფონის რაიონის სოფ. ქვემო საზანო.
დაიღუპა ბრძოლაში. 1940 წლის 11 მარტი.

**ბუტაშვილი გიორგი დავითის ძე**

წითელარმიელი.
საქართველოს სსრ, დაბ. 1918 წ. ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელი. უგზოუკვლოდ დაიკარგა. 1900 წ.

**ჯიმშელეიშვილი დავით ექვთიმეს ძე.**

წითელარმიელი.
დაბ. 1916 წ. საქართველოს სსრ, ქუთაისი. დაიღუპა ბრძოლაში. 1940 წ. 7 მარტი.

**ძამუკაშვილი გრიგოლ იოსების ძე**

წითელარმიელი.
1916 წ. საქართველოს სსრ, თელავის რაიონის სოფ. რუისპირი. დაიღუპა 1940 წ. 28 იანვარს.

**ტაბიძე ნიკოლოზ რაჟდენის ძე**

დაბ. 1917 წ. ვანის რაიონის სოფ. ჭყვიში. ბრძოლაში 1940 წ. 4 თებერვალს. დაკრძალულია სიმაღლესთან „ბეზიმიანნაიასთან“.

**ციკარიძე ვახტანგ**

დაბ. 1916 წ. საქართველოს სსრ, მახარაძის რაიონის სოფ. ნაგომარი. დაიღუპა ბრძოლაში 1940 წ. 23 თებერვალს. დაკრძალულია ურ კუუსაში.

**ცინარიძე ვიქტორ ბესარიონის ძე**

დაბ. 1916. წ. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ. სოხუმის რაიონი. სოფ. ქვედა ბირსუ. დაიღუპა ჭრილობებისგან 1940 წ. 12 მარტს. დაკრძალულია ქ. პუშკინში...

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გზა ჭაობისაკენ

# ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

## ისა ამინი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31, 32, 33, 34)

### მაშინ, როცა ენგელსი გაშიშვლდა...

დილანაწამებმა ფეთიანივით გავირბინე დარაჯ ლაზარის პოსტი ნომერი ერთი. ბორჯომის ჩქარი მატარებელივით ჩავუქროლე სასადილო კორპუსს. სკოლის წინ, ბალთან შევისვენე, გადავიხარე. ჩემი ახალი ცხვირით ბუჩქზე მიმხმარ შარშანდელ ვარდის ყვავილს დავეწაფე. ღრმად ჩავისუნთქე საამო სურნელი. ვარდმა ისე გამაბრუა, თავით კინაღამ წალკოტში გადავეშვი. წონასწორობა ძლივს შევინარჩუნე. სასადილოდან გამომავალმა დანა-ჩანგლის წკრიალმა ღრუბლებიდან მიწაზე მომადენინა ზღართანი. წელში გავსწორდი. ჩემი დინგის იქით ვერაფერს ვხედავ – რამხელაა ეს ოხერი. სკოლის შენობაში შევვარდი, კიბე ავირბინე. არ მინდა, ვინმეს თვალში შევეჩხირო. ერთი საკლასო ოთახამდე მიმაღწევინა. მერე, რაც მოსახდენია, მოხდეს. საკლასო ოთახამდე მივედი. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ვდურთე თავი ცოდნის სამჭედლოში არწივებთან შესახვედრად. მასწი არ ჩამეძია დაგვიანების მიზეზს. ჩემი ადგილი დავიკავე. არწივები და ქორ-შევარდნები, სახლებიდან ახალმოსულები, შეგუების პროცესს გადიან. ჩემთვის არავის სცალია. ჩანთას ადგილი მივუჩინე. ისტორიის წიგნი ამოვიღე. მერხზე დავდე, გადავმალე. ისე ვიქცევი, ვითომ არაფერიც გადამხდა. ჰოპლა, ჩემი სახეცვლილება თანაკლასელებს შეუმჩნეველი დარჩათ. გულში ზეიმს ვიწყებ. მაგრამ რა არის დაფარული, რომ არ გაცხადდეს?! ცნობისმოყვარეებს რა გამოლევს: ჩემს წინ გია ბეროკინა ზის. ვიდრე მასწი დაფაზე წერს, დრო იხელთა, შემოტრიალდა:

– მოგიყვე, რა დამემართა სახლში?

ერთი კი შემომხედა, ვაიმეო. სიტყვა ბაგეზე შეეყინა, ფეტვივით დაიბნა. რის თქმას აპირებდა, აღარც ახსოვს. შეშფოთებულმა შემათვალიერა. გავირინდე. ეეო, – ამის მეტი, ვერაფერი ამოღერღა, – რამხელა ცხვირი გაგზრდიაო. მხრები აიჩეჩა. მიტრიალდა. ეგ იყო და ეგ. მაინც, არ ვაძლევ თავს დამშვიდების უფლებას: გამაგრდი. მედგრად დაუხვდეთ სეტყვას. მგონია, მთელი კლასი მომიტრიალდება, ატყდება თითის გამოშვერა. „ცხვირა, ცხვირას“ წამოძახილები, სიცილ-ხარხარი. მსგავსი არაფერი. ვის დაკარგვიხარ, ვის რაში სჭირდები?! რა ხდება, დაყრუვდნენ? დაბრმავდნენ?. თითოეულ მათგანს ყურადღებით ვაკვირდები. იქნებ, მოილაპარაკეს. შეთქმულებას მიმზადებენ. აი, ვიტყვი. თავი ქუდში მაქვს. ჩაიფარცხა ცხვირის ოდისეა-მეთქი და მომიბრუნდება ამ დროს მთელი კლასი. ერთხმად დასჭექს – ვერ მოგართვი, ვერ მოგართვი. დაგინახეთ, დაგინახეთ. ეჭვი გამიჩნდა. ბეროკინა გამომელაპარაკა, აშკარად ბეროკინაა და არა – სხვა ვინმე, მაგრამ დანარჩენები ნუთუ, ჩემი თანაკლასელები არიან? იქნებ, გამოცვალეს? იქნებ, ჰიპნოზის სეანსი ჩაუტარეს? ვის რაში დასჭირდა. რომელი სახელმწიფო მნიშვნელობის პერსონა გახლავართ. ვისი, რისი ტიკი-ტომარა ვარ, რომ არ დამცინონ, არ გავილახო, დამიდონ, მუჯლუგუნი არ წამკრან. კიდევ ათასი ჯანდაბა და დოზანა. მეტი რა ჩარაა?! ბედს შევეგუე. დამთავრდა პირველი გაკვეთილი. პირველს მეორე მოჰყვა. მეორეს – მესამე და ა. შ. ერთმანეთს მიეწყვნენ. ხელი ხელს ჩაჰკიდეს და გაკვეთილის შეფასების, ცუდ და კარგ ნიშნებთან ერთად, ზარის ხმის წკრიალის ფონზე, საკლასო ჟურნალის წიაღში გაუჩინარდნენ.

გეზი, ჩვეულებისამებრ, ბიბლიოთეკისაკენ ავიღე. წინ მელოდება წიგნები, ნაირნაირი თავგადასავლებითა და კუთხეში მთვლემარე, შავებში გამოწყობილი კლარა მასწი. დერეფანში, ფანჯარასთან, გოგონები დგანან, ჩურჩულებენ. თვალს აპარებენ ჩემსკენ. ტუჩებს პრუწავენ. ხელში პატარა სარკეები უჭირავთ. ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებს სარკის ტყვეობაში აქცევენ. დატყვევებულ სინათლეს ჩემ ტანზე გაუდის ცეკვა-თამაში. მოულოდნელად, ზურგიდან დაძგერებით მკრეს ხელი. თავი ვერ შევიკავე. ძირს დავეცი. გულაღმა ამოვტრიალდი, წამოდგომა ვერ მოვასწარი. ვოვა დამახტა აფთარივით. მეძიძგილავება, ზედაც არ მიყურებს. სიფათი გოგოებისკენ მოუღრეცია. დრო ვიხელთე. ფეხებშუა მარჯვენა მუხლი ამოვარტყი. ვოვამ ერთი დაიკვნესა, ვაიმე დედაო. ოთხად მოიკუნტა. თვალები დაენისლა. გულით სწადია, იღრიალოს. გოგონების ერიდება. გოგონებმა, ხელიხელჩაკიდებულებმა, დინჯად, საკუთარ ღირსების უპირატესობაში ღრმად დარწმუნებულებმა, ზეაწეული, ამაყი სახეებით ჩაგვიარეს. გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი ერთსაც არ გვარგუნეს. ქოქოლა მოგვაყარეს, დიდმა ქალებმა რომ იციან, აი, ისე, თან დაგვემანჭნენ. მხარი წამოვწიე. ვოვამ, როგორც კი გაიგულა გოგონები, მანჭვაგრეხვას მორჩა. მიყურებს და იცინის – მე დამცინის თუ ჩემს ახალ ცხვირს, ვერ გამიგია. გაოცებული დავაკვირდი. ახლაღა შევამჩნიე. სახეზე, საულვაშეზე ღინღლი ამოსვლია. წამში შევრიგდით, მაგრამ ვერძებივით, ერთმანეთის რქენა არ შეგვიწყვეტია. ჩემი თავი მეგონა განსხვავებული. ეჭვები გამეფანტა. ლოყებზე ღინღლი ამოგვდის. სახეზე ზეთი ჩამოგვდის. ზოგს ფეხი ეზრდება. ზოგს – ხელი. რომეო ერთ თვეში იმხელაზე დაგრძელდა, ჩვენი უფროსი ძმა გეგონებათ. ხმა გვიბოხდება. ვინც ჯერ ისევ პირტიტველაა, შურით შეჰყურებენ ღინღლიანებს, გამუდმებით იხოკავენ ბლაგვი ბრიტვით ლოყებს. გაუგონიათ, ვინც ხშირად იპარსავს, წვერი უფრო სწრაფად ეზრდებაო. გოგოები, ადრე თუ ჩვენთან ერთად თამაშობდნენ, ახლა თავი შორს უჭირავთ. აბა, გაბედე და ნაწნავზე მოქაჩე – წიგნებით სავსე ჩანთის ტყლაშანს ვინ დაგამადლის. დაგესევიან გუნდურად. ჩქმეტით და ლიტინით სულს ამოგხდიან. საკუთარ ღირსებას გუნდური თავდადებით იცავენ. ჩვენ მუდამ დამარცხებულები ვრჩებით. სკოლის სტადიონზე ფეხბურთს ითამაშებ, ბურთს გაიტან კარში, გამარჯვებული ხარ. აქეთ, ამათ სტადიონზე. სხვა წესები მოქმედებს – კაი ბიჭი ხარ და აულე ალლო. ცხვირმა, ღინღლმა, ტან-ფეხის ზომაში მატებამ თავსატეხი გაგვიჩინა. ყველაფერ ამას ერთი უბედურება დაემატა: ძუძუს თავები გაგვიმაგრდა, თითქოს შიგნით, თხილის პატარა კაკლებიაო. წარამარა ხელს ვკიდებთ. თითქოს ცხვირის ოინები არ კმაროდეს, ახლა ეს გამოტყვრა. მეგონა, მარტო მე დამემართა ეს ოხრობა. მურტალი გოიმივით ავხტი. ისევ შიშმა ამიტანა, ისევ სასო წარმეკვეთა, ისევ უბედური ვარ. აღარც ვარდის სურნელება მათრობს.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწის, ახალგაზრდა ტატიანას გაკვეთილზე იგრძნობა სიცოცხლის ხალისი. რა ლამაზია ეს ოხერი. რა დედამ შობა. თეთრი, თეთრი, როგორც ახალმოსული თოვლი. ვითარცა, ლაგოდეხის ენძელა. ოროსნებიც კი ერთ ამბავში არიან. ეხვეწებიან ტატიანას, დაფასთან გამოიძახოს. მართალია, გაკვეთილი არ იციან, სამაგიეროდ, ახლოს იქნებიან, ხელის გაწვდენზე. მისი სუნამოს არომატით გაბრუედებიან. ტატიანა რის ტატიანაა, ერთი ამ ღლაპებს დამიხედეთო, უპატრონო არ გეგონოთ, აფიცრის ცოლია. ჩრდილოეთის დედოფალივით, ამაყად დაიარება მერხებს შორის. ხელში რუსულის სახელმძღვანელო უჭირავს, რომელიც, მათრახის მოვალეობასაც ითავსებს. ლომების მომთვინიერებელი გეგონებათ. რომელი მოსწავლეც თავს მოაბეზრებს, თავში დრუზავს. ერთ წამში უკარგავს ამურულ სურვილებს. მთელი არსებით გვიყვება გერასიმესა და მუმუს ტრაგიკულ თავგადასავალს. იქნება, გულები მოგვილბეს, ვეზიაროთ და შევისისხლხორცოთ მსოფლიო ჰუმანიზმის საფუძვლები. ტატიანა მასწი ბეროკინას მერხთან გაჩერდა. თორმეტი ბიჭის ოცდაოთხი თვალი შესციცინებს თეთრყირმიზა მშვენიერებას. ტატიანა მასწმა წიგნიდან თავი ასწია, ძირს დაიხედა. მთელ სახეზე ალმური მოედო, ცრემლები წამოსცვივდა. ბეროკინას ოშხოშიანი სილაქი გააწნა, წიგნიც უთავაზა. ტურგენევი, მუმუ და გერასიმეც გასიებულ გოგრაზე შეატოვა. აქვითინებული კლასიდან გავარდა. სამასწავლებლოში ბევრს ეცადნენ მიზეზის გარკვევას, სიტყვა ვერ დააცდენინეს. კატეგორიულად გამოაცხადა, იმ კლასში ცოცხალი თავით არ შევალო. დაბალ კლასებში გადაიყვანეს, სადაც ჯერ არ იციან, ხურმა რა ხილია. სადაც სჯერათ, მასწები არ ჭამენ, არ სვამენ, ძილი არ ეკარებათ და ფიში-ფიშისაც არ შვრებიან...

ამ ძაღლისპირიდან გავარდნილმა ბეროკინამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა: მარცხენა ფეხზე პატარა სარკე დაიმაგრა. დრო იხელთა, როცა ტატიანა მაგის მერხის წინ იდგა, სარკიანი წიხლი მასწის ფეხებშუა გააკვეხა – საოცრებათა ქვეყანაში მოინდომა მოგზაურობა. გოგონები გარეთ გავიდნენ. ბეროკინა კედელთან მივაყენეთ. გვინდა, ლინჩის წესით გავასამართლოთ. ამდენი მუშტმოღერებული ოყლაყის დანახვაზე ბეროკინა მოიბუზა, შიშით კედელს აეკრა. თავს გვაცოდებს, არ დამარტყათ, ბიჭებო, მოგიყვებით, ყველაფერს ჩაგიკაკლავთ. ცოტა უკან დაიწიეთ. ჰაერი არ მყოფნის. სუნთქვის საშუალებას ნუ მომისპობთ. შემიბრალეთ, ხალხი არა ხართ. არ მცემოთ. გამლახავთ? ვისი აჯობებს, იმასაც ვნახავთ. ძუძუს თავების ამბავსაც გაგიგებთ – ვიცი, ვისთანაც უნდა მივიდე. ჩემი ცემის მაგიერ, წყალი მომირბენინოთ, აჯობებს. იქნებ მიშველოს და მოვსულიერდე...

– მოიცადეთ, – თქვა თომამ, – ამ არარაობის გატყეპვას ისედაც მოვასწრებთ. აბა, ჩამოყაჭე. მოტყუება არ გაბედო, თორემ ვაი შენი ტყავის ბრალი...

ბეროკინამ შვებით ამოისუნთქა. მიტყეპვას გადარჩა. მაინც ჩვენ ხელშია. ცოტა გვიკლია, აზრს შევიცვლით. ლავაშივით გავაბრტყელებთ. ბეროკინა იკრიჭება. ჩვენი გულის მოგებას ცდილობს. სმენად გადავიქეცით. პირში შევყურებთ. არ გვინდა, ერთი სიტყვაც გამოგვრჩეს. მოყოლა დაიწყო. შორიდან უვლის, თუ როგორ მოიფიქრა და დაგეგმა ედემის ბაღის ცქერა და ჭვრეტა. აქ ბიჭები აფრუტუნდნენ, მერე, მერეო. ის ეცვაო? ბეროკინამ პაუზა აიღო. ჩვენ სიფათები მის სახესთან მივიტანეთ. თვალებით ვბურღავთ. პასუხი გვინდა მივიღოთ დადებითი. არა! ეს გაქნილი ჩვენ გულისნადებს კითხულობს. ამოიოხრა, ხოოვო! გული ამოაყოლა. ჩვენც, მის ამოოხვრას, ხორხისმიერი პირუტყვული ბგერებით ვუპასუხეთ. ბეროკინა ენად გაიკრიფა. წვრილმან-მისხალ აღწერს, დეტალებში, რაც დაინახა. ეჭვმა კი გაგვკრა გულში, წამებში მოხდა, რას დაინახავდა, აშკარად ცრუობსო. აღარავინ უსმენს. ჩვენი გონება ავამუშავეთ. ოცნებებში წავედით. რაც კი ზღაპრები წაგვიკითხავს, იქაურ უარყოფით გმირებსა და ბეროკინებს გაუტაცნიათ ჩვენი ტატიანა მასწი. დიდი სატევრებით შევიარაღდით, თავგამოდებითა და თავგანწირვით ვაყრევინებთ თავებს გველეშაპებს. გვინდა, ტატიანა მასწი კლასში დაბრუნდეს. მერხებშუა რიგებში იგოგმანოს. იქნებ, გავერკვეთ, ვინ გვიყვარს, ვინ გვეცოდება – მუმუ, გერასიმე, მასწი ტატიანა თუ ისტორიის წიგნში დასურათხატებული ფაშფაშა იმპერატრიცა ეკატერინა? აქ, ამ ოცნებების ძილბურანში, ისევ მე თუ ვუშველიო, როგორც ყოველთვის, ზარმა დაიწკრიალა. გონს კი მოვედით. აფორიაქება არ განელებულა. ბეროკინას გაშვება არ გვინდა. მოკვლით ვერ მოვკლავთ. ცემა რას უშველის. ვეცით, ოცდაოთხი ხელი ულიტინებს. ლამის სიცილით გაიგუდოს. სიცილი ქვითინში გადავიდა. ბოლოს, აღრიალდა. თითქმის სიგიჟის ზღვარს მიაღწია. შევეშვით. ჟორიკამ გრაფინი წყალი დაასხა. ერთმანეთს შევხედეთ. ფარული, ავი, გაუმხელელი აზრი იკითხება ჩვენთაგანის თვალებში. ფეთიანებივით დავიფანტენით. დიდი დასვენებაა, ოცწუთიანი. ცოტა ხანს მივაშურეთ განმარტოებულ ადგილებს, სადაც ვერავინ მოგაგნებს. ვაკეთებთ იმას, რითიც არის დაკავებული მთელი მსოფლიოს ხორციელი პუბლიკა მორალე. მოკრძალებულ ძღვენს ვწირავთ სიყვარულის კერპს, ამურს, მაგიერ იმისა, ორივე ხელში აგური გვეჭიროს და თავში ვირტყამდეთ...



ბეროკინამ სიტყვა შეასრულა: იზოლატორში წავიდა, სკოლის ექიმთან. მე გავყევი. კაბინეტის კარზე დააკაკუნა. შიგნიდან უპასუხეს, მობრძანდით. ბეროკინამ მუცელზე ხელი დაიდო, წელში მოიხარა, მხარზე ჩამომეკიდა, აქაოდა, უძლურებისგან გავთავდიო. კარი შევაღეთ. პაციენტი ლასლასით ტახტთან მივიყვანე „ვაიმე, მტკივას“ ძახილით, ტახტზე დავსვი. ზიზი ექიმი საწერ მაგიდასთან ზის. მაგიდაზე აუარება, ნაირნაირი სინჯარა, წამლის ფლაკონი, კოლბაა ჩამწკრივებული. ოთახში იოდის, სპირტისა და ბრილიანტის ხსნარის მძაფრი სუნი ტრიალებს. კუთხეში გუშაგივით აყუდებულა ადამიანის ჩონჩხი. კედელზე პლაკატებია გაკრული ჩვენი ორგანოების აღწერილობით. მინის კარადაში იმდენი შუშის შპრიცია, აცრის პროცესი გამახსენდა, ტკივილი ჩხვლეტას რომ ახლავს. მართლა ცუდად გავხდი. ლამის ჩავისვარო. ზიზი ექიმი თავის დავთარში თავჩარგული, ისეთი გამომეტყველებით აკეთებს ჩანაწერებს, მოწიწებით შევყურებთ. ნამდვილად ახალი აღმოჩენის ზიარებას ვესწრებით. კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინას მიაგნო. კაცობრიობას რომ არ დაეკარგოს, ფორმულას იწერს გამალებით. დაზარალებულებმა ერთმანეთს შევხედეთ. იმედის ძაფი გაგვიწყდა. ასეთი გრანდიოზული მოვლენის დაბადებაა. ვის ადარდებს ჩვენი ძუძუს თავები. ნაცვლად ამისა, გარეთ უნდა გავრბოდეთ, მთელი ხმით გავკიოდეთ: – ოსანა, ოსანა ზიზი პლატონოვნას. მისი დაუღალავი გარჯის, ძილგატეხილი ღამეების საფასურმა შედეგი აჩვენა: კაცობრიობას ხსნა მოევლინა. კიბო დამარცხებულია!

ზიზი პლატონოვნა წერას მორჩა, თავი ასწია. ფონენდოსკოპით ყელი დაიმშვენა. ბეროკინას წინ აეტუზა. მე მაგიდისკენ დავიხიე. თვალი პლატონოვნას დავთრისკენ გამექცა. ჩავიხედე, იქნებ, გუმანმა არ მიღალატა. მართლა აღმოჩენასთანა გვაქვს საქმე. გადაშლილ გვერდზე ქაღალდის ნაგლეჯზე სათაური წავიკითხე: „ბორშჩის მასალა“. შემდეგ სია – კომბოსტო ერთი კგ. ორმოცი კაპ.; ძროხის ხორცი, ოთხი მანეთი.; ნახევარი კგ. წითელი ჭარხალი, ორასი გრამი, ორმოცდაათი კაპ.; მზესუმზირის ზეთი; დაფნის ფოთოლი. ზეთის და დაფნის ფოთლის ღირებულება ვერ მოვასწარი ამომეკითხა. პლატონოვნამ, გარეთ გაბრძანდი, უშენოდაც გავართმევ თავსო. კარი საგანგებოდ, ნახევრად ღია დავტოვე. იქნებ, ყური მოვკრა, რა პასუხს გასცემს ბეროკინას ექიმ- დასტაქარი... ასეთი ვირეშმაკობებით ვერ გააბიაბრუებთ – სიტყვა დამადევნა, კეთილი ინებეთ, კარი მიიხურეთ, ეზოში მიბრძანდით. თუ საჭირო

გაგრძელება მე-17 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## გზა ჭაობისაკენ

გახდა თქვენი დახმარება, დაგიძახებთო. კარს მოვცილდი. იზოლატორის კიბეზე ჩამოვჯექი. ბუზებს ვითვლი. როდენის მოაზროვნესავით თავ-შუბლი ხელის იდაყვზე ჩამოვდევი. ვცდილობ, საკაცობრიო თემებით დავიტვირთო. სარდაფიდან კატისხელა ვირთხა ამოძვრა, დაიწრიპინა, აქ რას მორთხმულხარო, ეზოში მოცოცხა. ჩემმა ჰუმანურობამ გამაკვირვა — სხვა შემთხვევაში, ქვის ნაირსახეობას დავადევნებდი, გვარიანად შევაფუცხუნებდი, მაგრამ ახლა ისეთ ნოტაზე გახლავართ, აქვე რომ ეფუსფუსა და მთელი თავისი ოჯახი ამოეყვანა სოროდან, არაფერს დავუშავებდი. იქნებ, მაგათაც ჰყავთ თავიანთი პლატონოვნა და იქ მიეჩქარებოდა?

იზოლატორის კარი გაიღო. ბეროკინა გამოვიდა, გვერდზე მომიჯდა, ხმას არ იღებს, დროდადრო ამოიოხრებს. არაფერს ამბობს, ენა გადაეყლაპა, მოწყენილია. მუჯლუგუნი ვუთავაზე. შემომხედა, თავი მოისაწყლა, დანანებით გადაიქნია:

— ნეტავ, მიწა გამსკდომოდა. ბუზი რომ ბუზია, ჩვენზე ბედნიერია ახლა — ბზუის, რა ენაღვლება. ფუნაზე დაბრძანდება, სიცოცხლეს შეჰხარის. ახლა გული გაიმაგრე, ყურადღებით მომისმინე. პლატონოვნას ავტორიტეტი მაძლევს უფლებას, რაც მითხრა, ეჭვის ქვეშ არ დავაყენო. გაგიმხელ, რა დიაგნოზიც დასვა. პატიოსანი სიტყვა მომეცი, არავის ეტყვი. ვაჟკაცურად უნდა დახვედრა ყველანაირ განსაცდელს.

— ბეროკინა, რა გაწელე ფაჩიკოს გარმონივით. ამოღერღე. არც ეგრეა საქმე. რაც მოსახდენია, მოხდეს. — აქეთ ვამხნევებ. ბეროკინამ ჯიბიდან ამოიღო დაჭმუჭნილ-გაზინთლული, გახუნებული პიონერული ყელსახვევი. აქაოდა, ცრემლს ვერ ვიკავებო, თვალებზე მოისვა, სათუთად დაკეცა, ეამბორა, — აღარაფრად მარგია ეს ძვირფასი რელიქვია. აფსუსია, ვილაც ვიგინდარის დაუბანელ კისერს დაამშვენებსო. ანდერძად ვიბარებ, წარჩინებულ მოსწავლეს გადასცენ. ძუძუების ამბავი, ვგრძნობდი, ხეირს არ დაგვაყრიდა. ზიზი პლატონოვნამ, ეგ დასაწყისია. აწი, ნახეთ, რაც დაგემართოთ, ყურები დაგიგრძელდებათ, სხეული ბალნით შეგემოსებათ, ფეხზე ჩლიქები ამოგივათ, კუდუსუნზე კუდი ჩამოიკონწიალებს. ოთხ ფეხზე ივლით, ყროყინს დაიწყებთ, ვირებად გადაიქცევითო. ეს ბემურაზი ცრუობს! არ შევიმჩნიე. ლაპარაკში ავყევი:

— მერე, წამალი თუ არსებობს, გამოსავალი?

— კიო, რამდენჯერაც გოგონებს ნაწნავებზე მოქაჩეთ და აწყენინეთ, იმაზე ასჯერ მეტი ვარდები და ბალიშა კანფეტები მიართვით, ჯადო მოგეხსნებათო.

ფეხზე წამოდგა ბეროკინა, უკან-უკან მიდის. ჩვენ შორის მანძილი იზრდება. ჩემგან მეტს ვერაფერს გაიგებთ. კატლეტებით ვერ მომქრთამავთ. ამას წინათ, ტატიანას გამო რა დღეში ჩამაგდეთო. არც იმის იშტაზე ვარ, ვარდები მივართვა და კანფეტებით დავაძლო ვილაც-ვილაცებიო. იოჰოო, დაიყროყინა მართლაც ვირივით. ციბრუტივით დატრიალდა და მოძუძგა.

სხვა გამოსავალი არ დამიტოვა. მოვიკრიბე გამბედაობა, იზოლატორის კარზე დავაკაკუნე. პლატონოვნას ავეტუზე. სამედიცინო საქმიანობაში ხელი შევუშალე:

— ზიზი ექიმო, ზიზი ექიმო. გთხოვთ, რამე მითხრათ. მომიექიმეთ. ძუძუს თავები გამიმაგრდა. ავადა ვარ, ავადა. მგონია, ვკვდები. მითხარით დამაიმედებელი პასუხი. პლატონოვნა რიტმულ ქართულად მპასუხობს: — გაგიქრეთ თავი, გეზრდებათ ტანი. მასტოფათია ჰქვია, რაც გჭირთ.

— ზიზი ექიმო, მასტოფატია რა ნობათია? სიცოცხლის იმედი აღარა მქონდეს? აფსუსი არაა, ასეთი ახალგაზრდა წუთისოფელს გამოვესალმო? ადამიანურ ენაზე ამიხსენით. შინ, გარეთ, ეზოში, ბაღში, სკოლაში, კლასში, მერხზე, ქუჩაში, ავტობუსში, სასადილოში, ძილში, სიზმარში მკერდზე ხშირად ხელს ვაფათურებ. რა ხდება ჩემს თავს...

— ნუ გეშინიათ. გაგივლით. გარდატეხის დრო დაგიდგათ. თქვენი სხეული იცვლება, ახალ ფაზაში გადადის. ციკლი, ციკლი! ნუ გამიშრეთ სისხლი, თქვე მართლა სახედრებო. კაცობისკენ წინ გადადგმული ერთი ნაბიჯია. სასქესო ჯირკვალი, თესლი, ნაყოფიერება.. ახლა მომშორდით თავიდან.

ხმა გავრცელდა სკოლის ბიჭებში, რაც გვჭირს და რისგან გვჭირს. მე სხვას ვყვები. ბეროკინა — ალთას. უნდობლობით გვიყურებენ, არ სჯერათ. იზოლატორის კართან პლატონოვნას მოსვენება არ აქვს. ზიზი პლატონოვნას სასახელოდ უნდა ითქვას, ოლიმპიური სიმშვიდით ყველას გასცა საკადრისი, სრულყოფილი პასუხი. გამოუცნობი სიამაყის გრძნობით ვივსებით. ხზორებივით დავკუნტრუშებთ. ერთმანეთს ვრქენთ ერკემლებივით. სარკეში ვათვალიერებთ საკუთარ სხეულს. პირველმა რომეომ დაიწყო სახეზე ამოსული ჯეჯილის მოპარსვა. ოჰ, როგორ გვშურს. კბილებს ვიხეხავთ მინანქარის გაცვეთამდე. სავარცხლები შევიძინეთ — თმას იმდენჯერ ვივარცხნით, კანი აგვძვრა. ერთი-ორმა გადარეულმა იაფასიანი ოდეკოლონი დაითრია — ისე ყარან, მათთან დგომისას შეიძლება, გული შეგიღონდეთ. მათ სამალავს მივაგენით. დანარჩენებიც ავქოთდით. რა ლამაზი ფლაკონია, სამკუთხა ფორმის. „კარმენი“ — ეტიკეტზე ბოშა ქალია გამოსახული ფერადი ჭრელი სამოსითა და მარაოთი. ქუსლიანი, კოხტა მაქმანიანი „ბაჩიებით“. მგონი, ცოტათი შეყვარებულები ვართ ამ ნახატზე. თქვენი არ ვიცი, მე ერთი-ორჯერ დამესიზმრა. უჰ, რა კარგი იყო, ბიჭებო, კარმენთან ვიცეკვე, გიტარაზე ვუკრავდი. ის მღეროდა, თეძოებს ათამაშებდა, თვალებს მიჟუჟუნებდა. ელეთ-მელეთი მომდიოდა. თანაკლასელი ბიჭები გულზე სკდებოდნენ. სიბრაზისგან ხელი კომბლებს სტაცეს. ცდილობენ, კარმენი წამართვან — ჩემი ადგილის დაკავება სწადიათ. გიტარას ხელი ვუშვი. დაშნა მოვიმარჯვე. აბა, მოდით, ვისაც გული გერჩით. განანებთ. გიჩვენებთ სეირს. კედელთან მიგვიმწყვდიეს. კარმენი ზურგს მიმაგრებს. ამოდენა გიჟების ჯოგს რას გავუმკლავდები. კარმენს ხელი ვტაცე, ზეცაში გავფრინდით. დაბლა გაგულისებული ბრბო ღრიალებს, კომბლებს იქნევს. გადავიხარე, კარმენს ვაკოცო მინდა. ვინ გაცალა — ძილში შემოიჭრა პალატაში შემოსული ძიძა ქალის ხმა:

— გაიღვიძეთ. ადექით!..

მოკლედ, რა ხალხია: სიზმარსაც არ გაცლიან შენ გემოზე. რას ვიზამ. პარტიის შვილები ვართ. მის მზრუნველ ხელს სიზმარშიაც შეუძლია შემოაღწიოს. კარმენთან განშორება მესიკვდილება. იმ იმედით ვდგები, მომავალში, როცა გავიზრდები, სრულყოფილი მოქალაქე გავხდები და კომუნიზმში ვიცხოვრებ, პარტია ჩემს შესაფერის, ღირსეულ კარმენს, ოღონდაც საბჭოურს „გამიხაზირებს“, თან მამაშვილურად დააყოლებს, იცხოვრეთ, იბედნიერეთ, აჰა, თქვენ კოსმოსური ხომალდი. გაფრინდით მთვარეზე. წაიღეთ წითელი საღებავი. მთვარე წითლად შეღებეთ, ზედ დააწერეთ დიდი ასოებით, დაე, მთელმა დედამიწამ დაინახოს: „პარტია ჩვენი მესაჭეა!“ ბრანტი, თქვენ. ზარმაცებო და ურწმუნო თომებო. ვემსახურები საბჭოთა კავშირს. წინ, მარაოიან კარმენთან ერთად!

დღესაც კონცერტია. მეშვიდე „ბ“ კლასი, ლილი მასწის თაოსნობით, ანგარიშით წარსდგება სკოლის წინაშე. ლილი მასწი სანდომიანი ქალბატონია, ფიროსმანის ნახატს მაგონებს, „აქტრისა მარგარიტას“. ჩვენ არ გვასწავლის. ერთხელ გაგვიცდა ისტორიის გაკვეთილი — კლარა მასწი საპატიო მიზეზით არ ბრძანდებოდა. ლილი მასწი შემოვიდა დროებით შემცვლელად. ვიუცხოვეთ. ერთი-ორმა გადაწყვიტა, აერია, თავის დაკრულზე ეტარებინა. ისე იქცევიან, თითქოს ლილი მასწი არ არსებობს, არ ცნობენ მის ავტორიტეტს. ბუნჩულა ქალი ჰგონიათ. მწარედ მოტყუვდნენ. ლილი მასწმა მალევე აუღო ალღო ონავრების მზაკვრულ გეგმას — ისეთი მაღალი დიპლომატიის კლასი აჩვენა, სახტად დაგვტოვა ძენი შეცთომილნი. იძულებულნი გავხდით ოროსნებიც და წარჩინებულნიც, მის თამაშს ვთამაშობთ. გაკვეთილი მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიძირა. პირველად ხდება — თითოეული ჩვენთაგანი ნატრობს, რაც შეიძლება, დიდხანს არ დაიწკრიალოს ზარმა. წუთებს აღარ ვითვლით. შაბათის დადგომას აღარ დავეძებთ, ოღონდაც ეს გაკვეთილი ერთი დღით გაიწელოს. თანახმანი ვართ, ის ორი ბედნიერი დღე, რომელსაც სახლში ვატარებთ, დიდსულოვნად შევწიროთ ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს, განა? რომეომ, ნუ „გვეპადხალიმებით“ მასწ, ჩვენ მოთაფვლას ნუ ცდილობთ, არც ისე ადვილიაო. არ ვიცი, რა დაემართა, ლილი მასწმა თავი მაგიდაზე ჩამოდო, გულამოსკვნით აქვითინდა. ჩვენ, ყველას, თითქოს მეხი დაგვეცა, დავიზაფრენით. ლილი მასწი, სკოლას რომ აზანზარებს, ტირის. ვერ დავიჯერებდით ვერც ძილში, ვერც — ცხადში. თავი ვერ შეიკავეს გოგონებმა, ისინიც აზღავლდნენ. ჩვენ, ბიჭებს, მაგრა გაგვიტყდა. ჩანთები ავიფარეთ სახეზე — ვიტირებდით, მაგრამ ერთმანეთის გვერიდება, სისუსტეში არ ჩაგვეთვალოს. რომეო მიხვდა, მაგარი ჭამა. უადგილოდ გამოუვიდა ნათქვამი. კლასის მამასახლისს ავტორიტეტი უვარდება. ვერაფერი გამოასწორებს. ვერც ფეხბურთის კარგი თამაში, რაშიც ბადალი არ ჰყავს. კიდევ კარგი, ძალა მოიკრიბა. თავჩაქინდრული მივიდა ლილი მასწთან. თავზე ხელი გადაუსვა:

— ბოდიში, მასწ. თუ გინდათ, გადავხტებიო და ფანჯრისაკენ გაემართა. ლილიმ თავი ასწია, რომეოს უთხრა:

— წადი შენს ადგილზეო.

ჩვენ ხმას არ ვიღებთ. დავღონდით. მაინც არ გვინდა, ზარმა დაიწკრიალოს. მასწმა ჟურნალი აიღო, გადაშალა. მექანიკურად კითხულობს გვარ-სახელებს. ყველას მაღალ ნიშანს გიწერთო. ჯანგირამ, რომელსაც აღარ ახსოვს, მერამდენედაა ჩარჩენილი ერთი და იმავე კლასში, იმწუთსავე ჩაიფიქრა ჟურნალიდან ფურცლის მოპარვა და საშვილიშვილოდ შენახვა. ზარმა დაიწკრიალა. ზარის ხმას არ მოჰყოლია ჩვენი ჟრიამული. კლასიდან გასვლისას, ლილი მასწმა შემოგვხედა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გვითხრა:

— შვილი არ მეყოლებაო არასოდეს.

ასეთმა აღსარებამ ბოლო მოგვიღო. ახლა მივხვდით, რატომაა თავის მეშვიდე ბ-ში ოცდაოთხი საათი. ჩვენ, გაუთლელები...

მეშვიდე „ბ“ დილიდან გამოეთიშა სკოლის შინაგანაწესს. შეიკეტნენ საკლასო ოთახში, ჩამიჩუმი არ ისმის, ემზადებიან ფურორის მოსახდენად. როგორც მოგახსენეთ, დღეს, საღამოს, კონცერტს გამართავენ — ლექსები, სიმღერები, სკეტჩები. მომღერალი ბულბულები, მოცეკვავე ოფოფები. ჩვენ თავში გვიქრის ჰოფოფები. მეტი რა გვინდა, დროს გავიყვანთ. რიტმიდან ამოვვარდით. მეშვიდე „ბე“ კლასის კართან შევქუჩდით, ვცდილობთ, შიგნით შევიჭვრიტოთ. კარი იღება, გარბიან და გამორბიან მეშვიდელები, ზედაც არ გვიყურებენ, სამზადისში არიან. არაფრისდიდებით გვახედებენ თავიანთ შიდა სამზარეულოში. ჩვენთან სალაპარაკოდ არ სცხელათ, ტყავიდან ძვრებიან. ლილი მასწმა მოქოქა ესენი. გადაწყვიტეს, კარტბლანში აიღონ. ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, ჩვენი მეშვიდე „ბ“ არაფრით ჩამოუვარდება თქვენ მეშვიდე „ა“-სო. ვერ მოუნელებიათ, ჩვენი მეშვიდე „ა“ კლასი ყოფილი ტელევიზორით, მოქმედი თევზებიანი აკვარიუმით, სარკესავით ლაპლაპა, მასტიკიანი პარკეტით.. საპატიო დაფაზე გამოკრული, გაჯგიმული ჩემი და თომას პორტრეტებით, რომელთაც, ჩემი ნება რომ იყოს, ჩამოვფხრეწდი. ამ შეჯიბრებებს ვერ ვიტან. არც ის მეპიტნავება, ყველგან მე და თომას რომ გვტენიან. ხშირად მინატრია, ყოფაქცევაში, სწავლების მოსწრების შეფასებაში ისეთივე ნიშნები მქონდეს, როგორც უმრავლესობას. განუყრელი მეგობარი — კოჭლი სამიანი და მაგის ჯანი. ვინ გაცლის. საკმარისია, ერთი ამოგიჩემონ, წასულია თქვენი საქმე. რუდუნებით უნდა ვზიდოთ ჩვენი ჭაპანი!

დადგა ნანინანატრი საღამო — კონცერტი იწყება. მთელი სკოლის დიდებულნი თუ მდაბიონი კლუბს მივაწყდით. კატა, თაგვი, ძაღლი, ღორი, ვინც კი ჩვენ ტერიტორიაზე ბინადრობს და არ დაიზარა, დარბაზში შეგროვდა. ნაძვის ხეზე მობინადრე ფრინველებიც არ გვეპუებიან — ფანჯრებს მოაწყდნენ ბეღურები და მტრედები, ალაგ-ალაგ ყვავები რაფაზე იკავებენ ადგილებს.

სკოლის ელიტა მობრძანდა, დროებით ყველანი გავისუსენით: დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, მათთან დაახლოებული მასწები. განათლების განყოფილებიდან წარმომადგენელის დასწრებამ კონცერტის ფასი მაღლა ასწია.

რიტა სოლფეჯიომ მონჯღრეულ პიანინო „მასკვა“-ზე ჰიმნი მოსცხო. დიდიან-პატარიანად ფეხზე წამოვიშალენით. კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, როგორ გაგვაერთიანა და გაგვაბედნიერა დიდმა რუსმა ერმა ერთიან დიდ ოჯახში დიადი საქმეების საკეთებლად (პატარა ერებს სად გვაქვს მაგის შნო და გასაქანი. ცოდნა უნდა ყველაფერს?!) მხიარულად ჩავარაკრაკეთ ხოტბა-სადიდებელი. ვალმოხდილები სკამებზე დავერჭვეთ, გავიტრუნეთ სიამოვნების მოლოდინში. კაციშვილი ფეხს ვერ მოგვაცვლევინებს, ძაანაც რომ მოინდომოს.

ფარდა იხსნება, შუა სცენაზე გაიჭედა. კონცერტის ორგანიზატორები წუთითაც არ დაბნეულან: ორი ბავშვი გამოვარდა, ხელი წააშველეს. ჩვენ ტაში დავცხეთ, გამამხნევებელი შეძახილებით. დრო და დრო დირექტორი ბატონკაცურად შემოტრიალდება, უკანა რიგებს შეავლებს თვალს. ეს გაფრთხილებაა — ნამეტანი არ მოგვივიდეს, თორემ გაჩვენებთ, ვისი აჯობებსო. ამის მიუხედავად, დარბაზში საზეიმო ატმოსფერო არ კლებულობს.

ატყდა ცეკვა-თამაში, დაფ-ნაღარა, დაირა, სცენაზე დგას ნაირა. ნაირამ ლექსი წაგვიკითხა ზოიას გმირობაზე. ცხარე ოვაციებით გავაცილეთ. მომდევნო ნომრები სკეტჩებს დაეთმო. თვალებგაფაციცებული ვუყურებთ. ვერაფერს დაუწუნებ. ბოლომდე იხარჯებიან ჩვენდა საამებლად. არც ჩვენ ვრჩებით ვალში. ლამის ხელისგულები გადავიტყავოთ — ტაშის ცემით ვაჯილდოვებთ, ფეხებს იატაკზე ვაბრაგუნებთ. სტვენა ვერ მოგართვით — კატეგორიულად აგვიკრძალეს. დასანანია. მთელი კვირა ვამუღამებდით, მრავალი კომბინაცია ავითვისეთ: სტვენა ბულბულური, გრძელი, ზიგზაგური, ორი თითით. ამხელა შრომა წყალში ჩაგვეყარა... არა უშავს. საუკეთესო მსახიობს საძინებელში, ან სასადილოში დავაჯილდოვებთ დასტვენით. მეშვიდე „ბ“ დიდების ზენიტშია. ჩვენი გამამხნევებელი შეძახილები ძალას აძლევს. მთელ თავიანთ მსახიობურ ნიჭს მარგალიტებივით გვიფენენ. უკანა რიგი სიამოვნებით გააბოლებდა გაჩერებაზე აკრეფილ „ბიჩოკებს“. ესეც ვერ მოგართვით, ფანტასტიკის სფეროა. პიონერის სახელს არცხვენს.

კონცერტი კარგია, მაინც მინდა „ავითესო“. ავდექი, კარისკენ წავედი. გამოაცხადეს, სკოლაში ახალგადმოსული გოგოს გვარსახელი. სიმღერას შეასრულებს. კარში გავძვერი, მაგრამ რად გინდათ — წკრიალა ხმამ ადგილზე გამაქვავა. მოვტრიალდი და სცენაზე დავინახე ისეთი არსება, სიტყვებს ვერ ვპოულობ, მეშინია სიყალბე არ გამომივიდეს. აშკარად დავინახე თუ მომეჩვენა, თავს ვერ დავდებ. ბიძია პროლეტარიატის ბელადი მარქსი ოქროთი მოვარაყებული ჩარჩოიანი სურათიდან გადმოფრინდა. სიყვარულის რომაული ღმერთი ეროსი ამურივით ტანთ განძარცვულია, მშვილდ-ისრის გარეშე. ვაი, სირცხვილო. რას იტყვის ლენინი. მარქსს სასაცილო იერი დაჰკრავს — დედიშობილა, წვეროსანი, მთელი ტანი ბალნით აქვს დაფარული, ოჩოკოჩია. სასირცხვო ადგილას, ლეღვის ფოთლის მაგიერ, თავისივე ნაშრომი „კაპიტალი“ აუფარებია. ზურგს ორი წითელი ფრთა უმშვენებს. ჩემკენ გამოფრინდა. მარჯვენა და მარცხენა ხელში ჩაუბღუჯია ნამგალი და ურო. ერთმანეთზე ურახუნებს. არის ერთი ზრიალი და ჭრიალი. ადგილზე ვარ გაქვავებული. მოფრინდა, ჩემს თავზე დაფარფატებს. მოიქნია რაც ძალი და ღონე აქვს, მდრუზა გოგრაში. თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა. ერთი წყალწყალა ჭკუა მებადა, ისიც გამეფანტა. სიყვარულის მარქსმა ჩაიდუდღუნა, შეერთდითო, შეყვარებულებო, ყველა ქვეყნისა! ერთი კიდევ შეიფრთხიალა, თავისი ადრინდელი ადგილი დაიკავა, ენგელსის გვერდით.

სცენას თვალს ვერ ვაცილებ. ვხედავ მარტო ირინას, ირგვლივ შარავანდედშია ჩაფლული. სულში ისეთი სითბო ჩამეღვარა, ისეთი მაღალი ტემპერატურის, ვულკანის კრატერში როა. არა, გატყუებთ, მზეზე როა.

დიდი ვაი-უშველებელი ელეთმელეთი დამემართა. ვინ არის ეს გოგო, ადრე არ მინახავს? — ვფიქრობ ჩემთვის. ან ვფიქრობ კი? მღერის და მის გარშემო გაქრა ყველა და ყველაფერი. ეჰ, ირინა, ირინა, ჰგავდი მაშინ გვირილას. გვირილას კი არა, ნამდვილად არ მცალია, ეს გოგო შევადარო ახლა გვირილას, ან ზამბახ-იასამანს. მონუსხული შევყურებ. მაინც, რა იყო ეს პირველი ბგერა, ჩემი მისამართით წამოსული. ჩაფლული ვარ ყელამდე ჟრუანტელში. სხეულიდან გამოვედი? დენმა დამარტყა? მაშ, რა მემართება? არ ვიცი. ვინც იცით. მითხარით, ბატონებო და ქალბატონებო, ინებეთ კალამი და ქაღალდი, ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### კრის მარტინმა ჯენიფერ ლოურენსი უცნობ მსახიობზე გაცვალა

მას შემდეგ, რაც მეუღლეს, გვინეტ პელტროუს დაშორდა, ჯგუფ „ქოლდფლეის“ სოლისტ კრის მარტინს მსახიობ ჯენიფერ ლოურენსის გარემოცვაში ხედავდნენ. მომღერლისა და მსახიობის ურთიერთობა ისეთი სერიოზული ჩანდა, რომ

ახალი ვარსკვლავური ოჯახის შექმნას პროგნოზირებდნენ, თუმცა კრისმა ლოურენსი მიატოვა. მიტოვების საბაბი კი, თურმე, სასიდედრო, ანუ ჯენიფერის დედა გახდა, რომელიც ოცნებობს, რომ შვილი ყოფილ შეყვარებულს, ნიკოლას ჰოულიტს დაუბრუნდეს.

მომღერალს ლოურენსთან განშორებაზე ბევრი არ უჯავრია. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ, საზოგადოების წინაშე მსახიობ ანაბელ უოლისთან ერთად გამოჩნდა. ჰოდა, მოენეებმაც დაასკვნეს, რომ კრისტ მარტინი და ანაბელი შეყვარებულები არიან.

### აგუტინისა და ვარუმის ინტიმური ოჯახური ფოტო

რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავმა, მომღერალმა ლეონიდ აგუტინმა სოციალურ ქსელში ინტიმური ოჯახური ფოტო და ლექსი გამოაქვეყნა, რომელიც მეუღლეს, ანჟელიკა ვარუმს მიუძღვნა.

ფოტომ და ლექსმა წყვილის მეგობრებისა და თაყვანისმცემლების მოწონება დაიმსახურა.

### ჯასტინ ბიბერის ორეული მკვდარი იპოვეს

მომღერალ ჯასტინ ბიბერის ორეული, 35 წლის ტობიას შტრებელი, რომლის დაკარგვის შესახებაც ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, ლოს-ანჯელესში, ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი იპოვეს. პოლიციის თქმით, სასტუმროს ნომერში ნარკოტიკებიცაა აღმოჩენილი.

შტრებელმა, ბიბერს რომ დამსგავსებოდა, პლასტიკურ ოპერაციებში 100 ათასი დოლარი დახარჯა.

„ბიბერის ყველაფერი მომწონს — გამობერილი ლოყები, მკვეთრი, ღია თვალები, სავსე ტუჩები და თმის ვარცხნილობა“, — ამბობდა მომღერლის ორეული.

შეგახსენებთ: ჯასტინ ბიბერი კანადელი მუსიკოსია, რომელმაც წარმატებას 2008 წელს, „იუთუბ“-ზე გამოქვეყნებული მუსიკალური კლიპებით მიაღწია.

### თურქები მერიემ უზერლისა და მურატ ილდირიმის მონაწილეობით ახალ სერიალს იღებენ

ერთ-ერთი არაბული ტელეარხის სტუმრები ცნობილი თურქი მსახიობები — მერიემ უზერლი, ანუ ქართული მაყურებლისთვის ჰიურემი და მურატ ილდირიმი იყვნენ. მერიემმა იმ ახალ პროექტზე ისაუბრა, რომელშიც მურატ ილდირიმთან ერთად მონაწილეობს.

„ილდირიმი ჯერ კიდევ სხვა სერიალებიდან, განსაკუთრებით, „მდუმარენში“ მომწონდა და პროდიუსერებს 24 საათი ვევედრებოდი, რომ რომელიმე სერიალში მურატი ჩემი პარტნიორი ყოფილიყო. საბოლოოდ, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მინდოდა, — განაცხადა მერიემმა.

ამავე გადაცემაში მსახიობი გამოტყდა, რომ „დიდებულ საუკუნემდე“ ჰიურემ სულთანზე გაგებულიც არ ჰქონდა. ამასთან, მერიემმა აღნიშნა, რომ მის ძარღვებში გერმანული, თურქული და ამერიკული სისხლია.

„არაფერს, რაც აქამდე იყო, არ ვნანობ იმიტომ, რომ, რაც გამოვიარე — კარგიც და ცუდიც, ყველაფერმა გამოცდილება დამიგროვა. ჩემი შვილი, ლარას დაბადების შემდეგ კი, არაფრის მეშინია“, — აღნიშნა უზერლიმ.

მერიემ უზერლის და მურატ ილდირიმის მონაწილეობით ახალი სერიალი ეკრანებზე 2015 წლის სექტემბერში გამოვა.



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

2-8 სექტემბერი 2015 | № 34 (299) | 19

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### ჯონი დეპის ქალიშვილი ლგბტ ყოფილა

ცნობილი ჰოლივუდელის, ჯონი დეპის 16 წლის ქალიშვილმა, ლილი როუზმა მონაწილეობა ფოტოპროექტში — „ცალსახა სიმართლე“ მიიღო. ეს პროექტი ნიშანდობლივი იმითაა, რომ მხარს ლგბტ საზოგადოებას უჭერს — პროექტის ფარგლებში, ათასობით ადამიანი აღიარებს, რომ არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები იზიდავს.

ფოტოსესიის ინიციატორი გეი აქტივისტი იო ტილეტ რაიტია. სოციალურ ქსელში ლილი როუზის ფოტოც სწორედ მან გამოაქვეყნა.

„ძალიან ვამაყობ ჩემი ლილი როუზ დეპით. მან გადაწყვიტა, რომ მონაწილეობა მიეღო პროექტ „ცალსახა სიმართლეში“, რადგან თავს ლგბტ-ს ფართო სპექტრს მიაკუთვნებს. მისი ჩვენს ოჯახში მიღებით ბედნიერი ვარ“, — წერს სოციალურ ქსელში რაიტი.

ჯონი დეპის ქალიშვილმა ინტიმური ფოტო „ვიქტორია სიქრეთის“ 24 წლის მოდელ სტელა მაქსველთან გადაიღო. ცნობილია, რომ მაქსველს სასიყვარულო ურთიერთობა მაილი საირუსთან აქვს...

### ირანში მოჰამედზე ყველაზე ძვირადღირებული ფილმი გადაიღეს

ირანში ფილმის — „მოჰამედი — ღმერთის მოციქული“ პრემიერა გაიმართა. სხვათა შორის, ეს ყველაზე ძვირადღირებული ირანული სურათია — მისი შექმნა 40 მილიონი დაჯდა.

ფილმი სუნიტების კრიტიკის ობიექტი ჯერ კიდევ გადაღებების დასრულებამდე გახდა. რელიგიური ორგანიზაციები ფილმის აკრძალვას ახლაც ითხოვენ.

გადაღებები, დაახლოებით, 7 წელი გრძელდებოდა. რეჟისორ მაჯიდ მაჯიდის თქმით, ამ ფილმით ისლამზე სხვა წარმოდგენის შექმნა უნდა. სხვათა შორის, მაჯიდი მოჰამედზე კიდევ ორი ფილმის გადაღებას გეგმავს.

წინასწარმეტყველი მოჰამედი ისლამის ცენტრალური ფიგურაა. მის შესახებ ბევრი ფილმი არაა გადაღებული, რადგან მუსლიმები ეკრანზე მისი სახის გამოჩენის წინააღმდეგები არიან.

1976 წელს, ინგლისურ და არაბულ ენებზე გამოვიდა ფილმი — „მოჰამედი — ღმერთის მოციქული“, რომელიც ლიბანის, ლიბიის, ქუვეითის, მაროკოს და ბრიტანეთის ერთობლივი ნამუშევარია.

2002 წელს კი, მოჰამედის ცხოვრებაზე ნახატი ფილმი გადაიღეს.

### გონდურასში მიცვალებული გაცოცხლდა და... ისევ მოკვდა

16 წლის ნენსი პერეზი, გარდაცვალებიდან 24 საათის შემდეგ, გაცოცხლდა, თუმცა მალე ისევ გარდაიცვალა.

ნენსი პერეზი სამი თვის ორსული იყო. სროლის გაგონებაზე, გონება დაკარგა. ვინაიდან პირიდან ქაფი ამოსდიოდა, მშობლებმა იფიქრეს, რომ ბოროტმა ძალებმა შეიპყრეს და მღვდელს დაუძახეს... ეკზორციზმის რიტუალისას, გოგონას სიცოცხლის ნიშნები საერთოდ გაუქრა. საავადმყოფოში გადაყვანილ ნენსის მედიკოსებმა სიკვდილი დაუდგინეს.

პერეზი საქორწილო კაბაში დაასაფლავეს... დასაფლავების მეორე დღეს, როცა საფლავზე მივიდა, ქმარს მიწიდან ყვირილის და კაკუნის ხმა მოესმა. მამაკაცმა დასახმარებლად ნათესავებს დაუძახა, თუმცა სანამ მიწას ამოთხრიდნენ, გოგონა გარდაიცვალა...



ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ჯანსულის სიცილნათელები

**ირმა გიგანს!**
ან სხვა უფლება
ვინ მომცა,
მთელი სიცოცხლე
გიგალობ,
მარიამობას
გილოცავ,
ირმა-მარიამ
გიგანო!

**მაყვალა გონაშვილს!**
გზა სიყვარულის
ძველია, ძველი,
რომანტიზმია,
ის გზა და კვალი,
საქართველოში
არ არის ძნელი,
იყო პოეტი
და იყო ქალი!

**ვანო პავლიაშვილს**
საქართველოს „ნაცური“
ბოლმა შემოესია,
ეჰ, რას ვიზამთ, ესეც ხომ
პოლიტიკის წესია.
ვანო,
დავთვლი ბოროტებს
და მოგაწვდი ჩემს სიას,
ესეც ჩემი თემაა,
ესეც ჩემი ვერსია.
ახლოდანაც გვესვრიან,
შორიდანაც გვესვრიან,
დღეს მთავარი ნაცური
ბოლმაა და გესლია.
სირზე რომ დავიკიდოთ.
ალბათ, უკეთესია.
რაც გითხარი,
მტრის ხარჯზე
დაწერილი ლექსია!

**„ჩაკრულო“**
გული წუხილით გიღელავს,
„ჩაკრულო“, ცაშიც ჩინებულო,
ვაი, ქართულო სიმღერავ,
გამოინგლი-სირებულო!

**დრო და კუჭი**
ეს ცხოვრება არამია
მოლოდინი სამარის,
დროის გასვლა სხვა რამეა,
კუჭში გასვლა სხვა არის.

**ვარჯიში**
მიყვარს დილით ვარჯიში,
მე ჯიში ვარ,
ვარ ჯიში!




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024
9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლეჟავა ლეგანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით